საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 50 (594)

პარასკევი, 12 მარტი, 1993 წელი

ფასი 5 მანეთი

ნუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

წარმატებული კონტრიერიში

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 10 მარტს დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე მდინარე გუმისთაზე პერიოდულად აქტიურობდა და ფრონტის ხაზის სხვადასხვა მონაკვეთიდან უშენდა ცეცხლს ჩვენს პოზიციებს, გადაადგილებდა მძიმე ტექნიკას.

საქართველოს შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგის პერიოდული აქტიურობის საპასუხოდ ასევე პერიოდული საარტილერიო ცეცხლით ახშობდნენ მის საცეცხლე წერტილებს.

ოჩამჩირის რაიონში გაგრძელდა ბრძოლები ხოფელ ლაბრასთან. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა წინადღით დაწყებული კონტრიერიში კვლავ წარმატებით განავითარეს და საგრძნობლად წაიწიეს წინ. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მოკლულ-დაჭრილთა სახით დაკარგა დაახლოებით ოთხი ათეული მებრძოლი. ამასთან განადგურდა მტრის ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა. სამწუხაროდ, მსხვერპლია ჩვენი მხრივაც.

ლაბრისთვის ბრძოლაში დაიღუპა და დაიჭრა საქართველოს შეიარაღებული ძალების 9 მეომარი.

იოსებ გოგუჩია.

●

ოპერატიული მონაცემები მოწმობს

ოპერატიული მონაცემების თანახმად, გუდაუთაში მუშაობს რუსეთის არმიის დაქირავებულ ოფიცერთა ჯგუფი, რომელიც გეგმავს და კოორდინაციას უწევს აფხაზურ ფორმირებათა ყველა საომარ მოქმედებას. იგი გასამრჯელოს დოლარებით იღებს.

შემოწმებული ცნობებით, ამ ჯგუფმა მოამზადა მთელი აფხაზეთის — ქალაქ ოჩამჩირემდე — ხელში ჩაგდების პროექტი. მის განსახორციელებლად რუსეთის ჯარები აპირებენ გამოიყენონ დამატებითი არტილერია, საჰაერო-სადესანტო ნაწილის პირადი შემადგენლობა, ჯავშანტექნიკა, მათ შორის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები „ნონა“ და „აკაცია“.

შესაძლო შეტევა შეიძლება დაიწყოს სამი მიმართულებით: გუმისთის, ხოფელ შრომის მხრიდან ხოხუმზე და ხოფლების ათარაათუბზსკაიას, ტამიშის, კოჩარისა და ქალაქ ტყვარჩელის მხრიდან.

საინტერესოა სხვა ოპერატიული მონაცემებიც. მაგალითად, ხოფელ ჭგერდაში, რომელსაც აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ, ფუნქციონირებს ან-2 ტიპის თვითმფრინავებით მისაღები ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი. მარტო 1-7 მარტს ჩრდილოეთ კავკასიიდან აქ განხორციელდა 6 ავიარეისი, რომლებითაც ჩამოიტანეს იარაღი, სურსათი, ნარკოტიკები.

საგულისხმოა, რომ ხოფელ ათარაათუბზსკაიას მახლობლად ადგილობრივმა ქართველთა ლაშქარმა ხელთ იგდო შახტის სარაკეტო დანადგარების ტექნიკური უზრუნველყოფის ორი ავტომანქანა. მათ იყენებენ რუსეთის არმიაში სხვადასხვა ტექნიკის მომსახურებისათვის და იმ ადგილებში, სადაც რაკეტები დადგმული არ არის.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი: სადაგი დღეები 1993 წლის 11 მარტი

მისია, უფლება, პრეტენზია და... ლაფში ჩაფლული ურემი

ზოგჯერ პარლამენტის სხდომაზე ისეთ რამეს გაიგონებ, საკუთარ თავში შეგეპარება ეჭვი — მომესმა თუ მართლა ისროლა ასეთი „ხელთუქმნელი მარგალიტი“ დეპუტატმაო.

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის მორიგ სხდომაზე გაეროში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩად ბატონი პეტრე ჩხეიძის კანდიდატურის განხილვისას, როდესაც კანდიდატურა ძირითადად მოიწონეს, ხაზი გაესვა მის ბევრ ღირსებას, მოულოდნელად, არც მეტი, არც ნაკლები, საკითხი ასე დაისვა: რატომ არ იცოდა მომავალი ელჩის კანდიდატურის შესახებ წინასწარ ეროვნულმა მოძრაობამ (ესე იგი დეპუტატთა იმ ნაწილმა, რომლებიც ეროვნული მოძრაობიდან არიან მოხვედრილნი პარლამენტში).

ქვეტექსტი დაახლოებით აგრე იკითხება: პრეტენზია: როგორ გაბედეს ამგვარი პრეცედენტის დაშვება?!

გაფრთხილება: მეორედ ამგვარი რამ აღარ განმეორდეს!...

და მორალი: ჩვენი განსაკუთრებული უფლებების დავიწყება არ იქნება!

სხვისი არ ვიცი, მე კი კამათიც, საუბარიც ყოველთვის კონკრეტულ პიროვნებასთან მირჩევნია, ვიდრე კრებით ცნებასთან, როგორიცაა ამ შემთხვევაში ეროვნული მოძრაობა. ერთიც: ამ მოძრაობის შეფასება ჩემთვის ისევე არაერთმნიშვნელოვანია, როგორც მის მონაწილეთადმი დამოკიდებულება — დიდი სიმპათიებიდან სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებებამდე. თუმცა ახლა ეს საკამათოდ არ მითქვამს, სხვა რამეს მინდა გავუსვა ხაზი.

მაგრამ ჯერ მეორე მაგალითი: პარლამენტის წინა სხდომაზე რუსეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის საკითხის განხილვისას რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა რომან გოცირიძემ თქვა, რომ შარშან მაისში სამაჩაბლოს ზონაში დარჩენაზე მოლაპარაკების დროს რუსეთი გვეხვეწებოდა დავრჩენილიყავით ამ ზონაში, რაზეც ჩვენმა მხარემ უარი თქვაო.

— რატომ ითქვა უარი? — მკაცრი ტონით გაისმა რიტორიკული კითხვა-რეპლიკა ეროვნული მოძრაობის ფლანგიდან.

ბატონმა ვიცე-პრემიერმა კითხვა უპასუხოდ დატოვა. პასუხი კი ალბათ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც კითხვა — რატომ და იმიტომ...

აბა, გაბედა შარშან მაისში და ვისმე სამაჩაბლოს ზონაში დარჩენის სურვილი გამოეთქვა, წინააღმდეგობის რა ტაიფუნი დაატყდებოდა თავზე ზემოხსენებულივე ფლანგიდან. შედეგების რევიზია, ისევე როგორც თითის ქნევა, ადვილია. გადამწყვეტ მომენტში ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილების მიღება კი — ძალზე ძნელი. ამაში არაერთხელ დაგვარწმუნა ჩვენმა მწარე დღეებმა.

რევიზიის, ისევე როგორც თითის ქნევის უფლებას უპირველესად დამსახურება უნდა. რატომ გონია ვისმე, რომ სამშობლოს წინაშე სხვაზე მეტი დამსახურების გამო საშვილიშვილოდ აქვთ მოპოვებული ეს უფლება, გაუგებარია. ეროვნული მოძრაობის დამსახურება, მისი ნაკლი და ღირსებანი ნაწილობრივ შეფასებულია, ვიმეორებ — არაერთმნიშვნელოვნად; უფრო ღრმა და ამომწურავ შეფასებას მომავალი (უახლესიც და შორეულიც) იტყვის. დღესდღეობით კი, ვგონებ, საერთო საქმისთვის, ჩვენი საერთო სატკივარისთვის უმჯობესი იქნება იმგვარი ამბიციების გამომჟღავნების ნაცვლად, რომელიც ქრესტომათიაში ცნება „ამბიციის“ განმარტებისათვის მოსახმობ მაგალითად გამოდგება, ცივ გონებას მოვუხმოთ და ახლა მაინც შევეცადოთ ისეთი გადაწყვეტილებები მივიღოთ, მომავალში არც ერთი ფლანგიდან რევიზიას რომ აღარ დაისაჭიროებს და ლაფიდან ურმის ამოთრევას (ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას) არსებითად წაადგება.

დღეს კი უკვე, როდესაც ყელში სულ უფრო და უფრო მეტად გვიჭერს ყველანაირი მარწუხები, როდესაც რუსეთიდან აგრე ჰაერივით საჭირო 60 მილიარდი მანეთის მიღებას ვეებერთელა კითხვის ნიშანი დაესვა, ვინ აგებს პასუხს ხუთი მილიონი კაცის მოსალოდნელი დამშევისათვის?!

და თუ იმავე ეროვნულ მოძრაობას დღეს ყოველწამს არ უკიჟინებენ თავის შეცდომებს და არ თხოვენ ბევრი რამის გამო პასუხისმგებლობას, ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ისინი გაღმა გამოდაგების პოზიციას დაადგნენ და აქეთ არჩიონ მტყუან-მართალი. როდესაც შენს შეცდომებს შენივე ქვეყნისათვის სავალალო შედეგები მოსდევს, მონანიება თუ არა, გაჩუმება მაინც უნდა შეგეძლოს.

ქვეყნის მართვის სადავეები გონებადამჯდარ კაცშემატკივართ რომ სჭეროდათ ხელში, დღეს აგრე მწვავედ არ იდგმებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხიც (აქვე იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, ვინმემ არ დამაბრალოს, თითქოს მეორე უკიდურესობაში ვვარდები და ეროვნულ მოძრაობას განტევების ვაცის როლს ვაკისრებ. არა. დატრიალებულ ცოდო-ბრალში ყველას თავისი საკმარისი წილი უდევს, ყველას თავისი ცოდვა ეყოფა, სხვისას არავინ ჰკიდებს).

ამასობაში სხდომაზე კენჭი უყარეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების წარმოდგენილ სამ ვარიანტს. პირველი წარმოადგინა „ქარტია-91“-მა, მეორე — სახელმწიფოს მეთაურმა და მესამე პარლამენტის საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თამაზ გამყრელიძემ.

კენჭისყრის პერიპეტიები გამოვტოვოთ: ვერც ერთმა ვარიანტმა ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა. ამიტომ გადაწყდა: სამივე ვარიანტის შეჯერებით შემუშავდეს ერთი, ყველასათვის მისაღები დოკუმენტი, რომელიც წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

დღის წესრიგის შემდეგმა საკითხმა — „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის პროექტის პირველ წაკითხვით განხილვამ დაძაბულობა კულმინაციურ წერტილამდე აიყვანა.

ოპონენტებად ძირითადად წარმოდგნენ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრები, რომელთათვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა კანონპროექტის რამდენიმე მუხლი. მათ შორის ის, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას ითვალისწინებდა. აზრთა შეხლა-შემოხლის შემდეგ გამოინახა კომპრომისული ვარიანტი — 27-ე და 34-ე მუხლების გარეშე კანონპროექტი მიიღეს პირველი წაკითხვით.

სხდომა გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ“ საპარლამენტო კორ.

ბოლოთქმის მაგიერ. ის, რითაც დაიწყო პარლამენტის გუშინდელი სხდომა: წინა დღის საღამოს ქუჩაში მოკლეს თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე.

ეს მორიგი ამაზრზენი მკვლელობა არ არის, რომელიც აგრე ხშირად ხდება ამ ბოლო ხანებში საქართველოში. ეს უფრო მეტია — ეს ერთგვარი ალიყურია, გაწნული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისათვის და აქედან შორს მიმავალი დასკვნები უნდა გაკეთდეს — დაახლოებით ასეთი იყო ამ საკითხზე გამომსვლელების — რესპუბლიკის პროკურორის თედო ნინიძის და ქალაქის მერის კოტე გაბაშვილის აზრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

ენერგომატარებლებზე, კომუნალურ მომსახურებაზე, რძესა და რიგ სხვა პროდუქტებზე ფასებისა და ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. 1993 წლის 1 მარტიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) განისაზღვროს თვეში 2.300 (ორი ათას სამასი) მანეთით, შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

2. მინიმალური თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების თვეში 2.300 მანეთამდე გაზრდასთან დაკავშირებით პედაგოგის, აღმზრდელის, მეთოდისტის, ექიმისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სპეციალისტთა თანამდებობრივი სარგო (განაკვეთი) განისაზღვროს მინიმალური ხელფასის 2,25-3,0 კოეფიციენტის, საშუალო მედპერსონალისა — 2-2,25, უმცროსი მედპერსონალის — 1,75 და დანარჩენი პერსონალისა — 1,75-2,25 კოეფიციენტის ოდენობით.

სკოლამდელ დაწესებულებათა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ინტერნატების, ბავშვთა სახლების, ხელოვნებისა და კულტურის სკოლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, საშუალო სპეცსასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების (დირექტორების) თვიური თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვროს მინიმალური ხელფასის 3,5-4 კოეფიციენტის, ხოლო მათი მოადგილეებისა 3,25-3,5 კოეფიციენტის ოდენობით.

ამ დარგებში კოეფიციენტებით თანამდებობრივი სარგოების (განაკვეთების) განსაზღვრა მოხდეს იმ ანგარიშით, რომ აბსოლუტურმა მატებამ თვეში სრულ თანამდებობრივ სარგოზე (განაკვეთზე) შეადგინოს არანაკლებ 1.200 (ათას ორასი) მანეთი.

ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, სამართალდამცავ ორგანოებში, თავდაცვის, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში) დასაქმებული დანარჩენი კატეგორიის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები გადიდდეს მხოლოდ 1.200 (ათას ორასი) მანეთით, მიუხედავად შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის გადიდებისა.

ყველა სახის დანამატები, წანამატები, აგრეთვე მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის გადიდდეს 100 პროცენტით.

3. დაწესდეს, რომ მუშათა, მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავალი თვეში 2.300 (ორი ათას სამას) მანეთამდე ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

4. მოხუცებულობით პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა), 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურებისა და პერსონალური პენსიები, მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალური პენსიები სასურსათო და არასასურსათო პროდუქტებზე, ენერგომატარებლებსა და მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით გადიდდეს 800 (რვაასი) მანეთით.

აღნიშნული პუნქტი ვრცელდება მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებზე.

5. დაწესდეს ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარებათა შემდეგი ოდენობანი:

ა) ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება — 3000 (სამი ათასი) მანეთი;

ბ) 6 წლიდან 16 წლამდე დაწყებით, არასრულ და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის, კომერციულ სასწავლებელთა, სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სპეცსასწავლებლების სტუდენტებისათვის (მოსწავლეებისათვის), რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს, პენსიასა და სოციალურ დახმარებებს, დიასახლისებისათვის და უმუშევართათვის (რომლებიც არ იღებენ უმუშევრობის შემწეობას) ყოველთვიური დახმარება — 680 (ექვსას ოთხმოცი) მანეთი;

გ) მარტოხელა დედებისა და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი.

6. დახმარების ოდენობა დაკრძალვაზე განისაზღვროს 4.000 (ოთხი ათასი) მანეთით.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სტუდენტებისა და მოსწავლეთა სტიპენდიების, უმუშევრობის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ სტატუსის მქონე პირებისათვის გასაცემი შემწეობის ოდენობა თვეში თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) მინიმალური დონის მიმართ განსაზღვრულია:

— 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი;

— 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი;

— სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში: ფრიადოსანი სტუდენტებისათვის — 80 პროცენტი, მხოლოდ კარგი ან მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისათვის — 75 პროცენტი, ხოლო აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70 პროცენტის ოდენობით, შესაბამისად სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 70, 65 და 60 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო პროფსასწავლებლებში — 60, 55 და 50 პროცენტი;

— დოქტორანტებს სახელმწიფო სტიპენდია ეძლევათ დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე დანიშნული თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთისა (სარგოსი);

— უმუშევრობის პირველი სამი თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 80 პროცენტი;

— უმუშევრობის მეოთხედან მეექვსე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 70 პროცენტი;

— უმუშევრობის მეშვიდედან მეცხრე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი;

— უმუშევრობის მეათედან მეთორმეტე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი;

— უმუშევრობის სტატუსის მქონე იმ პირებისათვის, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო, საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები და სხვა), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მკურნალობის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებისათვის შემწეობის ოდენობა განსაზღვრულია უმუშევრობის სტატუსის მოქმედების პირველი ექვსი თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 60 პროცენტის, ხოლო დანარჩენი ექვსი თვის მანძილზე — 50 პროცენტის ოდენობით;

— ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო კმაყოფაზე (აქვთ უფასო კვება და ბინა), ეძლევათ დახმარება მინიმალური ხელფასის ოდენობით; სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ პირებს დახმარება ეძლევათ მინიმალური ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით;

— ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას, სტიპენდიები, კომპენსაციები ან კანონით დადგენილი სხვა დახმარებები არ ეძლევათ.

8. პენსიონერებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ლტოლვილის სტატუსი და იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე, ეძლევათ სრული პენსია, ხოლო იმათ, რომლებიც სახელმწიფო კმაყოფაზე არ იმყოფებიან (არა აქვთ უფასო კვება და ბინა), პენსიის გარდა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის მიერ ეძლევათ დახმარება მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

9. სახელობითი სტიპენდიების მქონე და დანარჩენი კატეგორიის სტუდენტთა, სპორტსმენთა და ასპირანტთა სტიპენდიები გადიდდეს 35 პროცენტით.

10. საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან, საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან, საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს შესაბამისი ინსტრუქციები და მითითებანი.

11. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან არსებულ დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციებს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი შესაბამისი ფონდების შემოსავლებსა და ხარჯებში.

12. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით 1993 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 3 ნოემბრის № 1032 დადგენილება, გარდა მესამე პუნქტის ბოლო აბზაცის, მეოთხე პუნქტის, მეხუთე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 სექტემბრის № 924 დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის, მე-11 პუნქტის მეორე აბზაცისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 ივლისის № 725 დადგენილების მე-5 პუნქტისა.

13. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო კომერციულმა ბანკებმა უზრუნველყონ ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების, დახმარებებისა და კომპენსაციების შეუფერხებელი გაცემა.

14. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თენგიზ სიგუა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

მინიმალური ხელფასი 2.300 მანეთი იქნება

10 მარტს გაიმართა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელიც პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

პირდაპირ უნდა ითქვას: მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებმა, რომელთა განხილვითაც დაიწყო ის სხდომა, ცოტა ვინმე თუ დააკმაყოფილა. ამავე დროს, გაითვალისწინა რა რესპუბლიკაში შექმნილი იგივე სიტუაცია, პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული დადგენილების პროექტი, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

ამ დადგენილების პროექტის განხილვისას სხდომაზე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ მინიმალური ხელფასის დონე რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ ისევ სტიქიურად განისაზღვრება, მაშინ როცა ამისათვის საჭიროა შეიქმნას საკანონმდებლო, სამართლებრივი ბაზა, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. სახელმწიფოს მეთაურმა მინისტრთა კაბინეტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ საქართველოშიც, რამეთუ მინიმალური ხელფასის ოპტიმალური დონის განსაზღვრა სრულიადაც არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი.

მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი კანონისა ფასების და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ და გადაწყვიტა დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი საქართველოს პარლამენტს.

განიხილეს კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ტარიფების მოწესრიგების საკითხი. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, მასალებისა და მოწყობილობის მნიშვნელოვნად გაძვირების გამო, აგრეთვე სატელეფონო კავშირის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილია ამა წლის პირველი აპრილიდან დაწესდეს ინდივიდუალური ტელეფონით სარგებლობისათვის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი 120 მანეთის ოდენობით, კოლექტიური სარგებლობის ტელეფონის ტარიფი კი 200 მანეთით შეადგენს.

ფოთის ნავსადგურს სამართლიანად უწოდებენ საქართველოს საზღვაო ჭიშკარს. ამიტომ ყოველმხრივი განხილვის საგანი გახდა სხდომაზე გამოტანილი იმ პირველი რიგის ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქციას უკავშირდება. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად რეკონსტრუქციის შემკვეთის ფუნქციები ეკისრება ამ ნავსადგურის დირექციას. შესაბამისი დავალებანი მიეცათ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა, ეკონომიკის, ფინანსების, ტრანსპორტის სამინისტროებს, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

ნომერშია

⊙ რეზერვები არის, საჭიროა მათი ამოქმედება. — 2

⊙ ვნება შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში. — 3

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესახებ“ დებატების თაობაზე

განიხილა რა თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები და მიიჩნევს რა აუცილებლად ამ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის მყარი სამართლებრივ-სახელშეკრულებო საფუძვლების შექმნას, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებისა და შეიარაღებული ძალების ბოლოდროინდელმა მოქმედებამ გაამწვავა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, დაევალოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას განაგრძოს მოლაპარაკება რუსეთის მხარესთან შემოთავაზებული ხელშეკრულების მთელი პაკეტის საბოლოო გაფორმებისა და ხელმოწერის მიზნით.

2. დაევალოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას:

ა) ისე წარმართოს თავისი ძალისხმევა, რომ მიღწეულ იქნეს ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი, თანასწორუფლებიანობისა და ურთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეუვალობის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებში კეთილმოსურნე მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პრინციპებზე დაფუძნებული ხელშეკრულება;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ხელშეკრულების იმ პუნქტებზე, რომლებმაც შეიძლება მეორე მხარეს მისცეს საფუძველი ნებისმიერი საბაბით ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.

გ) ხელშეკრულებათა ეკონომიკური ბლოკის შემუშავებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის, საკუთარი ფულად-საკრედიტო და საფინანსო სისტემის ფორმირებისა და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის დამკვიდრების პრიორიტეტებით.

დ) მიაღწიოს იმას, რომ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს რუსეთის ჯარების გაყვანის გრაფიკი არა უგვიანეს 1995 წლისა და მოხდეს მათი სამართლებრივი სტატუსის და ქონებრივი საკითხების რეგულირება.

4. დაევალოს პარლამენტის სამდივნოს პარლამენტის წევრების მიერ დებატების დროს გამოთქმული შენიშვნები და ცალკეულ ფორმულირებათა ალტერნატიული ვარიანტები გასათვალისწინებლად გაუგზავნოს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მარტი.

რუსეთის სამხედრო ობიექტებს არ ესროლოთ!

მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართული ჯარები უკანასკნელ ხანს მიზანმიმართულად უშენენ ცეცხლს რუსეთის სამხედრო ობიექტებს აფხაზეთში, მუდმივად აღინიშნება რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მათ უსაფუძვლობას ადასტურებს ბრძანება „საომარი მოქმედების ზონაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარების პირადი შემადგენლობის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც 25 თებერვალს გამოსცა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის მეთაურმა. ამით ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე ოპერაციების მონაწილე ყველა ქვეგანაყოფის მეთაურს აცნობებენ რუსეთის ჯარების განლაგების ადგილების კოორდინატებს, და მათ გარშემო 200 მეტრი რადიუსი ფართობი ითვლება უსაფრთხოების ზონად, რომელიც აღინიშნება ყველა საბრძოლო რუკაზე და დამიზნებითი ცეცხლი მის მიმართულებით დაუშვებელია.

ბრძანებით აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებების საბრძოლო ტექნიკისა და საცეცხლე წერტილების უსაფრთხოების ზონაში გამოჩენის შემთხვევაში გათვალისწინებულია განსახორციელებელი ღონისძიებანი. მათი პროვოკაციული მოქმედების ყველა ფაქტის მიხედვით, რომელიც საქართველოს ჯარებს აიძულებს ბრძოლები აწარმოონ ამ ზონების მახლობლად, მზადდება მასალები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან წარსადგენად და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე საკითხთა გადასაწყვეტად.

ბრძანებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია: „უსაფრთხოების აღნიშნული ზონების მიხედვით დამიზნებითი სროლის ფაქტები უნდა გამოიძიოს და გადაეცეს სამხედრო-საველე სასამართლოს. რუსეთის საჯარისო ნაწილების დისლოკაციის ადგილებზე დამიზნებით სროლაში დამნაშავენი ჩაითვალონ პროვოკატორებად და მათდამი გამოყენებულ იქნეს სამხედრო დროის კანონებით განსაზღვრული ღონისძიებანი“.

ავტობუსები — თხევად გაზზე

ბენზინის უკმარისობასთან და სიძვირესთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში ამ სახეობის სათბობით მომუშავე ავტობუსების თხევად გაზზე გადაყვანის შესახებ. პირველმა ავტოსარემონტო ქარხანამ დაიწყო გაზის აპარატურის გამოშვება და „ლაზის“ ტიპის ავტობუსებზე მისი დადგმა. აპრილში თბილისში ხაზებზე გამოვა ასი ავტობუსი, რომლებიც გაზის სათბობით იმუშავებენ.

იცლება საქვებით დატვირთული გემები

ფოთის საზღვაო ნავსადგურში დაიწყო თურქეთიდან ჩამოსული თბომავლის „ჰაჯი დევლის“ დაცლა. მან საქართველოში ჩამოიტანა 400 ტონა მარგარინი. მთავრდება თურქული მარგარინით დატვირთული მეორე ხომალდის დაცლაც: 622 ტონიდან გემზე ას ტონამდეღა დარჩა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ნავსადგურის დისპეტჩერმა იური ხუხუამ უთხრა, ნავმისადგომთან დგას „კაპიტანი კენედი“, რომელმაც 15 ათასი ტონა შაქარი ჩამოიტანა. ჯერჯერობით გემი მხოლოდ სანახევროდ არის დაცლილი. როგორც დისპეტჩერმა თქვა, შეფერხება ძირითადად მხოლოდ ორი ფაქტორით არის გამოწვეული — ცუდი ამინდითა და ორი საათით ელექტროენერგიის ყოველდღიური გამორთვით. უკანასკნელ ხანს წინანდელივით რკინიგზის ვაგონების მიწოდებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პრობლემები არ ყოფილა.

გრძელი გზა

„ჩვენიდან" „ჩემამდე"



საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გორისა და მისი რაიონის განყოფილების უფროსს მარლენ ნინოშვილს ესაუბრება ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ზურაბ ვაშაკიძე.

— რაკი ჩვენი დიალოგის თემა პრივატიზაცია და კერძო საკუთრებაა, საუბარი დავიწყოთ ადამ სმითის ცნობილი გამონათქვამით, რომ, „თუ ადამიანმა ერთხელ კერძო საკუთრება ვერ დააგროვა, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ეცდება ჭამოს რაც შეიძლება ბევრი და იმუშაოს რაც შეიძლება ცოტა". ამ ნათქვამის მიხედვით გამოდის, რომ განვლილი სამოცდაათი წლის მანძილზე ჭამის მეტი არაფერი გვიკეთებია, მუშაობით რომ თავს ვიკლავდით, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

— ადამ სმითი, შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, თუმცა მას „პოლიტიკური ეკონომიკის" მამას უწოდებენ, ჩვენში დიდ პატივში არასოდეს ყოფილა, ჩვენ სხვა, მისგან განსხვავებული შეხედულებების მიმდევარნი ვიყავით: ამით რაც გამოვიდა, ამას ყველანი ვხედავთ.

გახსოვთ ალბათ საუკუნის ყველაზე ფალსიფიცირებული ლოზუნგი: „მიწა — გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს!". დღეს უკვე ცნობილია, რომ არც ერთ მათგანს არ მიუღია ის, რასაც ჰპირდებოდნენ.

ოქტომბრის შემდგომ პერიოდში ათეული წლების მანძილზე ქვეყნის მთელი დოვლათი — მიწა, ფაბრიკები, ქარხნები ხალხს, ანუ ჩვენ გვეკუთვნოდა, თუმცა კონკრეტულად არავინ არაფერს არ ფლობდა. მეტიც, უმაღლესი ხელისუფლების აზრით, სჯობს საზოგადოებაში ყველა თანაბრად ღარიბად ცხოვრობდეს, ვიდრე ზოგიერთები მდიდრდებოდნენო.

ვინ იყვნენ ეს „ზოგ-ზოგები?" მოძრავი, ალღოიანი, მეწარმის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავისა და საზოგადოებისათვის ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლოთ. ხალხი მათ ამრეზით „საქმოსნებს" უწოდებდა, თუმცა ისინი ამას არ იმსახურებდნენ.

— პარადოქსად ნუ მოგეჩვენებათ, მაგრამ რაც უფრო ბევრს წერენ და ლაპარაკობენ პრივატიზაციაზე, მით უფრო ბუნდოვანი და ძნელად აღსაქმელი ხდება მისი არსი და ბუნება, მისი მნიშვნელობა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. და მაინც, გთხოვთ მოკლედ მიპასუხოთ: თავად როგორ გესმით „პრივატიზაცია"?

— როგორც ეს მითითებულია სპეციალურ ლიტერატურასა და სარეკომენდაციო ბიულეტენებში, იგი ნიშნავს სახელმწიფო ეკონომიკის სექტორის ხარჯზე კერძო სექტორის წილის ზრდას. პრივატიზაციის მიზანია იმ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რომელიც შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ დაირღვა. ჩვენ უნდა გამოვართვათ სახელმწიფოს, რისი გამორთმევაც შეიძლება. დავუბრუნოთ ხალხს, რომლის ხელითაც შეიქმნა მთელი ქვეყნის სიმდიდრე. პრივატიზაციის მიზანია დაქირავებული მუშახელი კერძო მესაკუთრედ ვაქციოთ.

— როდის დაიწყება პრივატიზაცია ქ. გორსა და მის რაიონში, და თუ დაიწყო, როდის აპირებთ მის დამთავრებას?

— პრივატიზაცია მუდმივი ეკონომიკური პროცესია და იგი არასდროს არ დამთავრდება. მაგრამ როცა გორის ზონაში „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი კითხულობს პრივატიზაცია როდის დაიწყებთო, ამ დროს კი იგი უკვე დავიწყეთ, გამოდის, რომ უღიმღამოდ, უხმაუროდ და უინტერესოდ შევდგომივართ საქმეს. კაცმა რომ თქვას, ეს ასეც არის. მიზეზებს აქვე მოგახსენებთ: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გორის განყოფილება მაისში ჩამოყალიბდა, ჩავატარეთ თეორიული ხასიათის სემინარები, აღვჭურვეთ საჭირო ლიტერატურით, ცნობარებით, რეკომენდაციებით, მოკლედ, ყველაფრით, უფლებების გარდა. პირველ ეტაპზე ჩვენი მთავარი საქმე უნდა ყოფილიყო მცირე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების პრივატიზაცია, ისეთი ობიექტებისა, სადაც სულ რამოდენიმე კაცი მუშაობს და ძირითადი ფონდების ღირებულებაც არცთუ დიდია. ამ შემთხვევაში მათი აუქციონის სახით ან საკონკურსო პირობებით განსაზღვრას ის უპირატესობა აქვს, რომ ვღებულობთ ამა თუ იმ ობიექტის საბაზრო ფასს, აქ მეტად, ვიდრე მსხვილი ობიექტების პრივატიზაციისას თვალში საცემია მყიდველთა შორის კონკურენცია და ა. შ.

მაგრამ საქმე „მცირე პრივატიზაციამდე" არ მისულა, გვირჩიეს ცოტა ხნით უარი გვეთქვა ამ ობიექტებზე და სახელმწიფო ტრანსპორტის პრივატიზაცია დაგვეწყო. ამასთან „საშუალო ფენისათვის" ხელმისაწვდომ ფასებში. აქაც ტრანსპორტის გაფორმება-გაყიდვის წესი ორ თვეში ორჯერ შეიცვალა და ფასიც არნახულად გაიზარდა. ესეც არაფერი. ამ დღეებში ახალი მითითება მივიღეთ: ტრანსპორტის პრივატიზაცია საერთოდ შეაჩერეთო.

„ზემოდან" დაშვებული ერთიმეორის უარმყოფელი განკარგულებები, იმაზე მიუთითებს, რომ თავად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროშიც არ დამთავრებულა „დუღილის" პროცესი, სტრუქტურების ფორმირება და ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში უკვე მესამე ხელმძღვანელი მოვიდა, განა ამაზე არ მიუთითებს?

პრივატიზაცია საბაზრო ეკონომიკაზე გადის. საბაზრო ეკონომიკა, თავის მხრივ, ზღუდავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებას, აქედან — ფარული თუ ხილული დაბრკოლებები, წინადადებები, ზევით, სხვადასხვა უწყებაში ტყავგადაკრული სავარძლების, თბილი ადგილების, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით მუშაობის სიამოვნების დაკარგვის შიში.

— პრივატიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბაზარს, მაგრამ უპრივატიზაციოდ არანაირი თავისუფალი ბაზარი არ იქნება. როგორ გგონიათ, ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციის დროს რა უნდა მოიმოქმედოს ადგილობრივმა მმართველობამ, რომ მოსახლეობის ყველა ფენა ერთნაირად იყოს დაცული. საწყისი პირობები ყველას ერთნაირი რომ ჰქონდეს?

— პრივატიზებულ ქონებას რომ ყველა ერთნაირად ვერ დაეპატრონება, სამწუხაროდ, ფაქტია. ერთი მხრივ, მათ, ვისაც სხვადასხვა — ბნელი თუ ნებადართული გზებით დაგროვილი აქვს გარკვეული ოდენობის კაპიტალი და ისინი, ვინც დღეში 4-5 საათს პურის რიგში დგანან და შინ ხშირად ხელცარიელი ბრუნდებიან, რანაირად დადგებიან ერთ სოციალურ სიბრტყეზე?

ერთნაირ საწყის პირობებზე ადრე უნდა ეზრუნათ. და მაინც, ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს მეტნაკლებად გაითვალისწინებს, გორის გამგეობის, მისი სამსახურების ყურადღების ცენტრშია.

რა თქმა უნდა, ყველა ვერ გახდება კერძო მესაკუთრე, სამაგიეროდ ბიზნესმენ-მეწარმეთა ფენის წარმოქმნით ყველა მოგებული დარჩება. ის საქველმოქმედო ღონისძიებები ჩვენში რომ ტარდება, სწორედ კერძო მესაკუთრეთა წყალობით, სწორედ ისინი არიან ჭეშმარიტი მამულიშვილნი, საქმის წამომწყები და განმხორციელებელნი.

სიტყვამ მოიტანა და აქედანვე უარი უნდა ვთქვათ ჩემის აზრით მცდარ წესზე იმის შესახებ, რომ სავაჭრო ან საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მაინცდამაინც მათში მომუშავე ადამიანებს მივყიდოთ. დავუშვათ, იმ ისედაც მცირერიცხოვან კოლექტივში არ აღმოჩნდა კაცი, ვისაც შეუძლია გაზარდოს, გააფართოოს, სახელი გაუთქვას, მუშტარი გაუმრავლოს ამა თუ იმ ობიექტს, მაინც ამ კოლექტივს მივყიდოთ თუ ასეთი, როგორც ვ. შუკშინი იტყოდა ენერგიული ადამიანები სხვაგან გავიკითხოთ და მოვძებნოთ?

პრივატიზაციის მიზანიც ხომ ეგ არის: ადამიანი კერძო მესაკუთრე გავხადოთ, რომ თავისი საკუთრების თვისებების გაუმჯობესებისათვის თავად იზრუნოს.

— ადამ სმითი, ვასილ შუკშინი, პეტრე სტოლიპინი... მოდით, კიდევ ერთ პიროვნებას მოვუხმოთ, ამჯერად დუგლას როჯერსს, აშშ ყოფილ ფინანსთა მინისტრს, ეკონომიკურ რეფორმებში ღრმად ჩახედულ კაცს. მისი აზრით ათი პრინციპია საჭირო ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის. აქედან პირველი პრინციპი ასეთია: „პოლიტიკის ხარისხობრივ შეცვლისათვის საჭიროა მაღალი კლასის სპეციალისტები, ადამიანები" თქვენ გყავთ ასეთი ადამიანები?

— არა. და არც შეიძლება დღეისათვის გვყავდეს. სხვა საქმეა მათი გაზრდა. საბაზრო ეკონომიკის მეცნიერების დაუფლება, საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა. დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტ-ექსპერტებად ჩამოყალიბდებიან ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლები მოსკოვიდან უმაღლესი განათლების სპეციალისტის დიპლომით დაბრუნებული ეკონომისტი და ვაჭრობის ორგანიზატორი გოჩა ლოლუაშვილი (რომელიც ამჟამად მოადგილედ მუშაობს) და თბილისის უნივერსიტეტდამთავრებული ეკონომისტი მალხაზ იმერლიშვილი.

რადგან კადრები ახსენეთ, ორიოდე სიტყვით ჩემს კერძო მოსაზრებასაც გაგიზიარებთ: საბაზრო ეკონომიკის გარეშე ახალ, თავისუფალ საზოგადოებას ვერ ავაშენებთ, ამიტომ ადგილებზე პრივატიზაციის სამსახურებს ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, ავტორიტეტი შევუქმნათ, საქმე მხოლოდ მოიგებს, თუ მაგალითად, განყოფილების უფროსი იმავდროულად გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეც იქნება, ეს საშუალებას მისცემს მას პრივატიზაციის საკითხების განხილვისას თათბირებზე მოიწვიოს სამეურნეო ხელმძღვანელები, მოსთხოვოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დირექტივების შესრულება და ა. შ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი განყოფილება (სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტრუქტურებში სამმართველოდ რომ იწოდება) ქ. გორისა და გორის რაიონის გარდა ცხინვალის რეგიონს, მთელ სამაჩაბლოს უნდა მოემსახუროს, ზემოხსენებული მოსაზრება, ვფიქრობ, ყურადღების ღირსია.

ახლა უკვე დადგა დრო სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. პრივატიზაციაზე ლაპარაკს პრივატიზაციის ფართო მასშტაბით განხორციელება სჯობს. ადამიანები პრივატიზაციას სამომავლოდ დიდ იმედებს უკავშირებენ. ჩვენ უფლება არა გვაქვს მათ ეს იმედები გავუცრუოთ.

«იბერიაბანკი» გთავაზობთ!

ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომლებსაც
გააჩნიათ სამანეთო სახსრები რუსეთში ან
თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში და სურთ მათი
გადმოტანა საქართველოში.

„იბერიაბანკი" დაგეხმარებათ ამ პრობლემის
ოპერატიულად გადაწყვეტაში: თქვენს მიერ
მოსკოვში ჩვენს ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას
დაუყოვნებლივ მიიღებთ საქართველოში, ორივე
მხარისათვის ხელსაყრელი პირობებით.

გახსოვდეთ, აგრეთვე, რომ „იბერიაბანკი"
ნებისმიერ დროს შეიძენს თქვენგან თავისუფლად
კონვერტირებად ვალუტას უნაღდო ანგარიშ-
სწორებით.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი № 80
(ტურიზმის სამინისტროს შენობა), ტელ.: 98-70-50

სხვა გაზეთებიდან

მშვიდობა უნდა დამყარდეს

ვლადისლავ არძინბა: „თუ დადგება ასეთი ჟამი, მეც მზად ვარ ავიღო იარაღი და დავიცვა ჩემი სამშობლო".

ედუარდ შევარდნაძე: „ქართველებმა და აფხაზებმა რუსეთის ჩაურევლად უნდა გამონახონ საერთო ენა".

მოსკოვი. (იტარ-საკდესი). აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შესაძლებლობა რეალურია, განაცხადა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ ინტერვიუში რომელიც გამოქვეყნდა „იზვესტიის" გუშინდელ საღამოს გამოშვებაში.

იგი დარწმუნებულია, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ გაჩაღებული ომის მიზანია აფხაზი ხალხის გაჟლეტა, აფხაზეთის ტერიტორიიდან მთელი არაქართული მოსახლეობის განდევნა. აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია". აფხაზეთთან ურთიერთობის პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების ძიებისათვის საქართველომ „ხელი უნდა აიღოს ასეთ პოლიტიკაზე, გაიყვანოს ჩვენი ტერიტორიიდან თავისი ჯარები". ამის შემდეგ, ვ. არძინბას აზრით, შეიძლება მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

უპასუხა რა კითხვას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა დაისვას საკითხი რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესახებ, ვ. არძინბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა 1810 წლიდან და არ სურს არსებული კავშირურთიერთობის დარღვევა. მან აღნიშნა, რომ აფხაზებს კონფლიქტის გადაჭრაში რუსეთის ხალხის იმედი აქვს. ვ. არძინბას მიაჩნია, რომ რუსეთს ეკისრება როლი აიძულოს საქართველო პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

„იზვესტიის" ამავე ნომერში მოთავსებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ. მან განაცხადა, რომ საქართველოს დაშლა რუსეთის დაშლის დასაწყისი იქნება.

განმარტა რა თავისი პოზიცია. მან აღნიშნა, რომ „არასტაბილური საქართველო სტიმულს მისცემს ნეგატიურ პროცესებს მთლიანად კავკასიაში და, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში". ე. შევარდნაძემ შეაფასა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის გადაჭრის პერსპექტივები და გამოჰყო ორი გზა — პოლიტიკური საშუალებებით და სამხედრო საშუალებებით. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამასთან დაკავშირებით მიესალმა „ქართველ-აფხაზთა დიალოგის შესამჩნევ გამოცოცხლებას".

შეეხო რა კონფლიქტის მიმდინარეობაზე რუსეთის გავლენის შესაძლებლობას, ე. შევარდნაძემ შენიშნა, რომ „ქართველებმა და აფხაზებმა თავად უნდა გამონახონ საერთო ენა და იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად, როგორც უცხოვრიათ მრავალი საუკუნის განმავლობაში".

მისი აზრით, „რუსეთის პარლამენტშიც, და მთავრობაშიც არიან ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციას". „მიმაჩნია, რომ უნდა განვაახლოთ დიალოგი, განვაგრძოთ მოლაპარაკება და მივაღწიოთ რუსეთ-საქართველოს ყველა საჭირო შეთანხმების მომზადებას", — განაცხადა ე. შევარდნაძემ.

ლატვია: უვიზოდ შესვლა აკრძალულია

ამიერიდან, ლატვიაში უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე რომ მოხვდეს, საჭიროა შესასვლელი ვიზა. ეს ეხება ყველა ქვეყნის მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლებსაც.

ეს წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ საქართველო და ლატვია დადებენ შეთანხმებას უვიზო რეჟიმის შესახებ.

— ლატვიაში გასამგზავრებლად საჭიროა ლატვიის რესპუბლიკის ემიგრაციისა და მოქალაქეობის დეპარტამენტში დამოწმებული ოფიციალური შეთანხმება, — თქვა ლატვიის მოსკოვის საელჩოს კონსულმა ეგონ ნეიმანისმა. — უამისოდ მიწვევა ბათილია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზებისა და ნებართვების განყოფილებაში საზღვარგარეთულ პასპორტთა შესაბამისი გაფორმების შემდეგ ისინი მიწვევასთან ერთად უნდა წარადგინოთ ლატვიის მოსკოვის ან ტაშკენტის საელჩოებში.

ბატონმა ნეიმანისმა აღნიშნა, რომ ვიზების გაფორმება, რომელიც დაახლოებით ათი დოლარი ღირს, გარკვეულ დროს დაიკავებს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სავიზო ინფორმაციის განყოფილების გამგემ ირაკლი ჟორდანიამ უთხრა, ჯერჯერობით ლატვიელ მოქალაქეებს ჩვენს ქვეყანაში შემოსასვლელი ვიზები არ სჭირდებათ.

საქინფორმი

მიხეილ ქურდაძის დამკრძალავი კომისიისაგან

დამნაშავის ხელით ვერაგულად დაიღუპა ქ. თბილისის პროკურორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **მიხეილ ქურდაძე**.

გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი.

შეიქმნა დამკრძალავი კომისია. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს თბილისის მერია.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

რეზერვები, რომლებიც უნდა ავამოქმედოთ



საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და კვების მრეწველობის სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული გარდაქმნების საფუძველზე მებოცვრეობისა და ნადირთმოშენების და მეთევზეობის გაერთიანებათა ბაზაზე შეიქმნა ახალი გაერთიანება, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა გამოცდილი ორგანიზატორი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი ბონდო პაპავა, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მარაბდის მებოცვრეობის მეურნეობას. ვაქვეყნებთ მის სტატიას დარგის დღევანდელობასა და მომავლის ამოცანებზე, მის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში.

ბონდო პაპავა,

მებოცვრეობის, ნადირთმოშენებისა და მეთევზეობის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი.

მებოცვრეობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული დარგია. ამ უწყინარ ცხოველს ახასიათებს მაღალი ნაყოფიერება და მალმწიფადობა. ერთი დედა ბოცვერიდან წელიწადში მიიღება 40-50 კილოგრამი დიეტური ხორცი (ცოცხალი წონით), 20-25 ცალი ტყავი. ამ ძვირფასი თვისებების გამო, ჩვენმა წინაპრებმა უხსოვარი დროიდან მოაშენეს ბოცვერი, მაგრამ დარგის სწრაფვილო განვითარებას მეოთხედი საუკუნის ისტორიაც არა აქვს. პირველი მებოცვრეობის ფერმები 1969 წელს შეიქმნა კუმისისა და ბებნისის მეურნეობებში, სადაც თითოეულში ჰყავდათ 400-400 დედა ბოცვერი. შემდგომში ამ დარგს მეტი ყურადღება მიექცა. მებოცვრეობის განვითარებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელი ბატონი ედუარდ შევარდნაძე. მისი ინიციატივით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დარგის დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად. მოკლე დროში მწყობრში ჩადგა 13 მსხვილი კომპლექსი, რომლებშიც 70 ათასი დედაბოცვერი იყო. რეალური საფუძველი ჩაეყარა პროგრამას — მნიშვნელოვნად დაკმაყოფილებულიყო მოსახლეობის მოთხოვნილება დიეტურ ხორცზე, რომელიც გემოთი და მაწიერობით ტოლს არ უდებს ფრინველისას, მრეწველობაც საკმაოდ მიიღებდა ნედლეულს.

მაგრამ ერთბაშად საქმე მაინც რიგიანად ვერ აეწყო. სპეციალიზებული მეურნეობები და კომპლექსები ვერ მიუახლოვდნენ საპროექტო სიმძლავრეებს. უკანასკნელი წლების მოვლენებმა კი დარგი თითქმის გააჩანაგა: 1991 წელს კომპლექსმა მხოლოდ 350 ტონა, ანუ წინა წელთან შედარებით სამჯერ ნაკლები ბოცვრის ხორცი აწარმოვა.

ასეთი სავალალო ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო გაერთიანებაში შარშანდელი წლის პირველი ნახევრისათვის, როდესაც მისი თავმჯდომარეობა მომანდეს. კოლექტივის მხარდაჭერით შევძელით ვითარების ერთგვარი გაუმჯობესება. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შედეგებიც არ არის მთლად ურიგო: წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტი ბოცვრის ხორცი მივყიდეთ მომხმარებელს. მკვეთრად გავზარდეთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის ხორცის წარმოებაც. თუ 1991 წელს სისტემაში მხოლოდ სამი მეურნეობა იყო მომგებიანი, ხოლო მთლიანმა ზარალმა 3 მილიონ მანეთს გადააჭარბა, 1992 წლის მოსალოდნელი მოგების თანხა ოთხ მილიონ მანეთს გადააჭარბებს. მომგებიანია გაერთიანების ყველა მეურნეობა და ორგანიზაცია გარდა თამარაშენის მეურნეობისა, რომელმაც სამაჩაბლოს ომის გამო დიდი ნგრევა და ზარალი განიცადა. განსაკუთრებით იმედის მომცემია ის, რომ პირუტყვის საკვების მწვავე დეფიციტის პირობებში იგი ჩვენ მაინც საკმაოდ დავამზადეთ. და მთლიანად შევინარჩუნეთ ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვი, რათა არ შევამციროთ მისი კვლავწარმოება.

ნებისმიერი შრომითი კოლექტივის საქმიანობის ავკარგიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მისი ხელმძღვანელის უნარსა და ორგანიზატორულ თვისებებზე. ეს ნათლად გამოიკვეთა ქარელის რაიონის ბებნისისა და დიდდოფლის, ბოლნისის რაიონის რატევანის, დმანისის რაიონის კიროვისის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს რაიონის შიბლიანის, ზესტაფონის რაიონის სვირის მეურნეობათა მაგალითით, რომელთა თავკაცები ვანო არდემანიშვილი, თემურ გიორგობიანი, შოქრი დევნოზაშვილი, ელმარ ვიბლიანი, რომან აბდუშელიშვილი, თემურ მეურვიშვილი, ბესო დათიაშვილი, სწორად გეგმავენ მუშაობას, უფრთხილდებიან და იცავენ დოვლათს, ერთგულად რაზმავენ ადამიანებს და შედეგებიც ჩინებული აქვთ.

გაერთიანებამ და სისტემის კოლექტივებმა მიზნად დაისახეს მებოცვრეობის უფრო ფართო მასშტაბებით განვითარება, გამონახეს სათანადო რეზერვები და ახლა მათი ამოქმედებისათვის ზრუნავენ. ამ მიზნის მიღწევაში, მწამს, თავიანთ წვლილს შეიტანენ გაერთიანებაში გადმოსული ხობის რაიონის ხორგის, ჭიათურის ზონის სვერის და სენაკის რაიონის ნოსირის სახელმწიფო მეურნეობები, სადაც, ცხადია, არ ვაპირებთ გიგანტური კომპლექსების შექმნას, როგორც ეს ადრე იყო დამკვიდრებული, არამედ მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ ბოცვრებს მოვამრავლებთ გამოთავისუფლებულ მეცხოველეობის ფერმებში. ყველა რეზერვის ამოქმედებით, 1993-1995 წლებში მიღწეულ დონესთან შედარებით, არანაკლებ ორჯერ გავზარდოთ ბოცვრის ხორცის წარმოება, 1995 წელს კი მოსახლეობას მივყიდით 1800 ტონა დიეტურ ხორცს, მივიღებთ აგრეთვე, ბოცვრის 600 ათას ტყავს, რომლებსაც წინანდებურად კაპიკებად როდი ჩავაბარებთ. ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი საამქრო, სადაც ტყავს დავამუშავებთ, შევკერავთ ქურთუკებს, ქუდებს და ა. შ. უკვე დავამზადეთ საცდელი პარტია, შეკვეთებს ვიღებთ უცხოეთიდანაც, ჩვენებური ქურქეული ქვეყნის გარეთაც გაითქვამს სახელს და საკმაო სარფსაც ვილით.

ასე რომ, გასაკეთებელი ბევრია, დასახულ ამოცანებსაც უთუოდ შევასრულებთ, მაგრამ ამისთვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი. ერთ-ერთი უმთავრესია მებოცვრეობის საკვები ბაზა. ჩვენს მეურნეობა-კომპლექსებს არ ყოფნით სახნავი მიწები. მართლაც პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ პრივატიზაციის შემდეგ სახნავი მიწების გარეშე დარჩნენ ზესტაფონის, თამარაშენის, ლეჟიქეის, ბაკურიანის სახელმწიფო მეურნეობები. ამას დაემატა ისიც, რომ მიწების პრივატიზაციის დროს დაშვებული უხეში შეცდომების გამო, სოფლის მოსახლეობამ თვითნებურად მიიტაცა მისი დიდი მასივები, რომელთა მეტი წილი, მრავალწლიანი ბალახებით იყო დაკავებული, რაც ბოცვრისათვის აუცილებელი საკვებია და კომპლექსები მის გარეშე დარჩნენ. ამის გამო, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ კუმისის, ბებნისის, დიდდოფლის, თეთრიწყაროსა და სხვა მეურნეობები. გაერთიანებამ თავის დროზე დასაბუთებულად და პრინციპულად დააყენა საკითხი შესაბამისი რაიონების ხელმძღვანელთა წინაშე მიტაცებული მიწების დაბრუნებისა და ახალი ფართობების გამოყოფის თაობაზე, მაგრამ, მათ საამისოდ არაფერი იღონეს. ამიტომაცაა, რომ სისტემის მეურნეობები ძირითადად პურპროდუქტების ბაზებიდან შემოზიდულ კომბინირებულ საკვებზე არიან დამოკიდებულნი. აქაც უმძიმესი მდგომარეობაა. თუ ადრე მათ მიერ დამზადებული საკვების უხარისხობაზე გვქონდა პრეტენზიები, ამჟამად ფიზიკურად ვერ გვაწვდიან მას. საკვების მწვავე ნაკლებობამ და უხარისხობამ დაგვიხოცა 35 ათასი მაწოვარი, ხოლო იძულებით დაიკლა 50 ათასი ბოცვერი. გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში, ბოცვრის საკვები საერთოდ არ გამოუშვიათ ქუთაისის, კაჭრეთის, ოზურგეთის, ბათუმის, წისქვილკომბინატებს, ხოლო მარნეულის წისქვილკომბინატმა წლის ბოლოს საერთოდ შეწყვიტა ბოცვრის საკვების მიწოდება, თურმე, „ზემდგომის მითითების გამო".

ბოცვრის საკვებით მომარაგებაში სიძნელეები იმიტომაც წარმოიქმნა, რომ პურპროდუქტების ბაზები მას არ აწარმოებენ გრანულებად, ბოცვერი კი მღრღნელია და ქატოს სახით საკვებს ვერ ითვისებს, დიდია დანაკარგები. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვხედავთ იმაში, რომ მებოცვრეობის მიმართულების სახელმწიფო მეურნეობებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაუყოვნებლივ გადაეცეთ პრივატიზაციის შემდეგ დარჩენილი სახნავი მიწები და დაუბრუნდეთ მოსახლეობის მიერ თვითნებურად დატაცებული ფართობები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაერთიანებას გადმოეცეს აგრეთვე, გრანულირებული საკვებწარმოების საამქრო, რომელიც მიზნობრივად იმუშავებს ბოცვრის კომბინირებული საკვების გამოშვებაზე. თუ ეს არ მოხერხდა, იქნებ, წელსვე გამოგვიყოს შეღავათიანი სესხი, რათა თავად ავაშენოთ მიკროკომბინატი, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 16-18 ათას ტონა კომბინირებულ საკვებს და გადაამუშავებს საკუთარი წარმოების მარცვლეულის 40-50 პროცენტს. ამ ღონისძიების გატარებით, გადავწყვეტთ კომბინირებული საკვების ხარისხის პრობლემებსაც, რაც ჩვენში „აქილევსის ქუსლად" იქცა. ამის შემდეგ სახელმწიფოსაგან უმნიშვნელო დახმარება დაგვჭირდება.

მებოცვრეობის საქმეს მაინც წინ ვერ წავწევთ, თუ არ გადმოვიღეთ დასავლეთის ქვეყნების კოლეგების მოწინავე გამოცდილება. მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს სანაშენე მუშაობა. თუმცა, საკითხი მრავალჯერ დავაყენეთ, ჯერაც ვერ მოხერხდა ერთი საჯიშე-სანაშენე მეურნეობის გამოყოფა. არადა, ეს საქმე მივიწყებულია მეცნიერთა მხრიდანაც. ფაქტობრივად არავინ არ მუშაობს ახალი ჯიშების გამოყვანაზე ან არსებულის გაუმჯობესებაზე, ქართველი კონსტრუქტორებიც დიდ ვალში არიან მებოცვრეთა წინაშე. ისინი არ ქმნიან ისეთ მექანიზმებს, რომელიც შრომას შეგვიმსუბუქებდა.

საჭიროა აგრეთვე, უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურად, მთავრობამ დოტაცია დააწესოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, ხოლო შეღავათები — კომბინირებული საკვების, საწვავ-საცხები მასალების, ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების ფასებზე. ეს იქნება ამ დარგის სასწრაფო განვითარების და მეურნეობათა ეკონომიკურად გაჯანსაღების გარანტი.

არის სხვა სიძნელეებიც, რომელთა დაძლევა ჩვენს ძალებს აღემატება. მაგალითად, ადრე აშენებულ გიგანტურ კაპიტალურ საბოცვრეებში მიკროკლიმატის დაცვა შეუძლებელი გახდა ნაკელგამტანი ტრანსპორტიორების მწყობრიდან გამოსვლისა და მოძველების გამო. აუცილებელია, მთავრობამ განიხილოს და დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს რომელიმე საწარმოში მისი წარმოების საკითხი, ან უნდა დაგვეხმაროს მის შემოტანაში. ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყდეს ჩვენს მიერ მრავალგზის დაყენებული საკითხი და დედაქალაქში გადმოგვეცეს სათანადო ფართის შენობა, სადაც გავხსნით საფირმო მაღაზიას და ბაზრის ფასებთან შედარებით, იაფად გავყიდით ჩვენს მეურნეობებში წარმოებულ არა მარტო ბოცვრის, არამედ ღორის, საქონლის, ფრინველის, ცხვრის ხორცს, ცოცხალ თევზს, ხილს, ბოსტნეულს და ა. შ.

გაერთიანების დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს რესპუბლიკაში ერთადერთი ბაკურიანის ნადირთმშენის სახელმწიფო მეურნეობა. დიდის ძალისხმევით იქ შენარჩუნებული გვყავს 3.300-მდე ძვირფასი ჯიშის სადედე მელია. ამჟამად, მათი მოშენება-გამრავლების საკითხი საფრთხის წინაშეა შემდეგ გარემოებათა გამო: ათი წლის წინათ დაიწყო და დასასრული არ უჩანს მეურნეობის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოებს. შემოტანილი ძვირფასი ტექნოლოგიური მოწყობილობა დაუმონტაჟებელია, რადგან ფართობი არ იძლევა ამის შესაძლებლობას. სიძველისა და ავარიულობის გამო, შეუძლებელია მაცივარ-საწყობის შემდგომი ექსპლუატაცია. მთლიანად შემოუღობავია მეურნეობის ტერიტორია, რომელიც თავის დროზე დაიგეგმა, მაგრამ შექმნილ სიძნელეთა გამო, არაფერი გაკეთდა. დეფიციტური გახდა მელიების საკვების შემოტანა ქვეყნისა და უცხოეთის ხორცკომბინატებიდან...

დიდი საზრუნავი გაგვიჩინა „საქთევზმეურნეობის" სისტემის ორგანიზაციებმა, რომელიც მთავრობის დადგენილებით, შემოგვიერთდა. ამ დარგმა უკანასკნელ წლებში ყველაზე, დიდი ზარალი განიცადა. ბევრგან მეთევზეობის მეურნეობა ერთიანად არის გაძარცვულ-გაპარტახებული და მისი აღდგენა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რისი გამოყოფის საშუალება თითქმის არ არსებობს. ამ დღეებში ადგილებზე ვიყავი და ქურდობისაგან დოვლათის დაცვის გარანტიასაც ვერ გვაძლევენ. „საქთევზმეურნეობაში" შექმნილ განუკითხაობას ყველაზე მეტად ციფრები ასახავენ: მან 1985 წელს აწარმოვა 1825 ტონა „ცოცხალი", შარშანწინ კი მხოლოდ 120 ტონა. შარშანდელი მონაცემები ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, რადგან, საერთოდ არ აწარმოებდნენ ანგარიშგებას, ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ იგი კიდევ უფრო გაუარესებულია.

მეთევზეობაში გადასაჭრელია მრავალი პრობლემა: პირველ რიგში, აღსადგენია თევზსაშენი საწარმოები, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავები. უნდა ვიზრუნოთ თევზის ლიფსიტების ადგილობრივ მეურნეობებში გამოყვანაზე, რადგან, მისი სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანა ძვირი ჯდება, თან სდევდა დანაკარგები, პროდუქციის გაძვირება, ინფექციური დაავადებების გავრცელება და სხვ. ამ და სხვა ამოცანების გადაჭრისათვის ჩვენ უკვე შევიმუშავეთ გაერთიანების დებულება, მოკლევადიან და პერსპექტიულ ღონისძიებათა პროგრამა. გადაწყვეტილი გვაქვს, წელსვე მივაწოდოთ მოსახლეობას 1200-1500 ტონა პროდუქცია, ხოლო მომდევნო სამ წელიწადში ეს მაჩვენებელი 3500 ტონამდე გავზარდოთ. ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს, მხოლოდ გააზრებული მოქმედებაა საჭირო.

ერთ კარგ საქმესაც უნდა დავუდოთ საფუძველი. ეს არის თევზის ფქვილის წარმოება, რაც მეცხოველეობასა და მეურნეობაში ძვირფასი საკვებია, მისი შემოტანა რესპუბლიკას კი ფაქტობრივად სხვა ქვეყნებიდან უხდებოდა. და ეს მაშინ, როცა შავ ზღვაში ქაფშიას სხვა ქვეყნები იჭერენ და ამზადებენ ამ ძვირფას ვიტამინებს. ახლა ვზრუნავთ სათანადო მოწყობილობის შეძენაზე, ნედლეულად ჩვენს წყალსაცავებში დაჭერილ საკვებად უვარგის თევზსაც გამოვიყენებთ.

ამჟამად, აშკარად იგრძნობა რესპუბლიკის ხელისუფლების დიდი ზრუნვა სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. ჩვენი გაერთიანების მრავალათასიანი კოლექტივიც არ დაზოგავს ძალისხმევას, რათა ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია, უკეთ გამოვკვებოთ ადამიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი

ნათელი კაცი

რევაზ გაგნიძე,
გია ნახუცრიშვილი.

გამოჩენილ ქართველ ბოტანიკოსს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბუნების დიდ ქომაგს ნიკო კეცხოველს გასული წლის დეკემბრის მიწურულში დაბადების 95 წლისთავი შეუსრულდებოდა...

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იყო არა მხოლოდ საქართველოს ბუნებრივი მცენარეულობის და კულტურული ფლორის დაუღალავი მკვლევარი, არამედ ის გახლდათ საქართველოს და მისი ხალხის ისტორიისა და ყოფის შესანიშნავი მცოდნე.

ჯერ კიდევ სტუდენტმა ნიკო კეცხოველმა ახლად დაარსებულ ქართული უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. მაშინ აქ, ასისტენტის თანამდებობაზე ხარკოვიდან ახლად დაბრუნებული, ზაქარია ყანჩაველი იყო მოწვეული. სულ მალე მსოფლიოში ცნობილი ბოტანიკოსის პროფესორ სერგეი ნავაშინის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, ზაქარია ყანჩაველს ბოტანიკის კათედრის გამგედ ირჩევენ, ხოლო ასისტენტად — ნიკო კეცხოველს.

კათედრის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა საქართველოს ფლორისა და მცენარეული საფარის შესწავლა. საყურადღებოა, რომ კათედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ქართული ბოტანიკური ტერმინების ძიება და შექმნა იყო. ამ განხრით კათედრის მუშაობის აქტუალობაზე უკვე ის ფაქტი მიუთითებს, რომ იმ დროს უნივერსიტეტში ტერმინოლოგიურ კომისიას ბატონი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

ნიკო კეცხოველმა და ზაქარია ყანჩაველმა დაიწყეს ქართული ბოტანიკური ტერმინების შეგროვება და უკვე არსებული მდიდარი წყაროების მიხედვით მათი დაზუსტება. უფრო მოგვიანებით მათ ცნობილი ბოტანიკოსი ალექსანდრე მაყაშვილი შეუერთდა.

მცენარეთა ქართული სახელწოდებები, დამუშავებული ამ სამი ცნობილი ბოტანიკოსის მიერ, ფართოდ იქნა გამოყენებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნიკო კეცხოველის ადრეული პერიოდის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი მიმართულება იყო საქართველოს სარეველა მცენარეებისა და კულტურული ფლორის კვლევა.

ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველია ნიკო კეცხოველი, რომელმაც კულტურულ მცენარეთა ბოტანიკურ-გეოგრაფიული კანონზომიერების შესწავლა დაიწყო.

მისი, აკადემიკოს ვლადიმერ მენაბდისა და პროფ. ლ. დეკაპრილევიჩის დიდი მუშაობით გამოვლინდა საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენოფონდი. კერძოდ გაირკვა, რომ საქართველოს მთიან მხარეებში შემონახულია ხორბლების უძველესი ფორმები, სახელდობრ, ქართული ხორბლების უნიკალური სახეობები: მახა და ზანდური — რაჭალეჩხუმში; დიკა—მდინარე ლიახვის, ქსნისა და არაგვის სათავეებში; ძველ-კოლხური ასლი — მთელ დასავლეთ საქართველოში. ნიკო კეცხოველისა და სხვა მეცნიერების გამოკვლევების საფუძველზე აკადემიკოსმა ვავილოვმა საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მრავალფეროვნების უმნიშვნელოვანეს კერად აღიარა.

„ცალკეული ეთნორაიონებისათვის დამახასიათებელი ენდემური ხორბლები, — აღნიშნავდა ნიკო კეცხოველი, — ეროვნული განძია და მათი დაკარგვა მძიმე დანაშაულად დაგვეწერება“. კულტურული ფლორის კვლევის შედეგები ნ. კეცხოველმა შეაჯამა ნაშრომებში: „მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე“ (1928) და „საქართველოს კულტურულ მცენარეთა ზონები“ (1957). მათში დახასიათებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის შესაფერისი ზონები.

ნიკო კეცხოველი ცნობილი იყო როგორც მცენარეების საუკეთესო კოლექციონერი. ბოტანიკურ კოლექციებსა და ჰერბარიუმს იგი თვლიდა ერის სიმდიდრედ, ერის კულტურის საუკეთესო მაჩვენებლად. მის მიერ შეგროვებული მდიდარი ბოტანიკური კოლექცია ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე, რომელსაც ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელობდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც 1963 წლიდან გარდაცვალების უკანასკნელ დღემდე (1982) იყო.

შემდეგი მიმართულება ნიკო კეცხოველის მოღვაწეობაში საქართველოს მცენარეული საფარის შესწავლა იყო. მისი ხელმძღვანელობით გეობოტანიკური კვლევები მიმდინარეობდა თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის გეობოტანიკის განყოფილებაში.

კვლევა მიმართული იყო საქართველოს მცენარეული საფარის, მისი გენეზისის და დინამიკის შესასწავლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეული დაჯგუფებებისა და ცალკეული მცენარის ინდიკაციური მნიშვნელობის დადგენა. ნიკო კეცხოველის გეობოტანიკური კვლევების შედეგები შეჯამდა შრომებში: „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“ (1935) და „საქართველოს მცენარეული საფარი“ (1960).

კულტურული მცენარეულობის და მცენარეული საფარის გეობოტანიკური შესწავლის საფუძველზე შედგა ფერადი „ინდიკატორთა გეობოტანიკური რუკა“ (1957), „საქართველოს მცენარეული საფარის რუკა“ (1960), „საქართველოს აგრობოტანიკური რუკა“ (1972).

ნიკო კეცხოველის შემოქმედებაში თავისებურია ის, რომ იგი ფართოდ იყენებს იმ ძველ ხელნაწერებს და ისტორიულ წყაროებს, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის შესახებ. ამის ერთ-ერთ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ნიკო კეცხოველის მიერ ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც ბოტანიკოს-გეოგრაფისა და გეობოტანიკოსის, აღმოჩენა.

საქართველო ყოველთვის ითვლებოდა ბოტანიკური კვლევის ცენტრად კავკასიაში, მაგრამ მას სათავეში ედგნენ საქვეყნოდ ცნობილი უცხოელი ბოტანიკოსები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზაქარია ყანჩაველმა და ნიკო კეცხოველმა გააქართულეს ბოტანიკური მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში.

ნიკო კეცხოველის ინიციატივით ფართოდ გაიშალა მუშაობა ბუნებრივი ფლორის ინვენტარიზაციისათვის. შედგენილ იქნა კაპიტალური რვატომიანი ცნობარი „საქართველოს ფლორა“. დაიწყო მეორე გამოცემაზე მუშაობა (დღეისათვის გამოქვეყნებულია 11 ტომი) აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ფლორის“ პირველი გამოცემა წინ უსწრებდა როგორც „საბჭოთა კავშირის ფლორის“, ისე სხვა რესპუბლიკების „ფლორების“ გამოცემებს.

ნიკო კეცხოველი იყო პირველთაგანი, ვინც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ხმა აიმაღლა საქართველოს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მთელი რიგი ბუნების დამანგრეველი გიგანტური მშენებლობის აგების წინააღმდეგ წავიდა.

მან შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები საქართველოს ბუნების შესახებ, გამოაქვეყნა მთელი ციკლი საყმაწვილო წიგნებისა საქართველოს ბუნების და მისი ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 70-იან წლებში გამოცემული ისეთი შესანიშნავი წიგნები, როგორიცაა: „მკერდში დაჭრილი ბუნება“ (1973); „ცხრათვალა მზის ქვეშ“ (1967), „მორბის არაგვი, „არაგვიანი“ (1979), „არსაიდიდან მოვდივარ, მომიხარია“ (1974).

(ამ წიგნმა რუსთაველის სახელობის პრემია დაიმსახურა): „ადამიანი და ბუნება“ (1974), „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ (1977). ყველა ამ წიგნში იგრძნობა მშობლიური ბუნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება. თავისი ქვეყნის და ხალხის უზომო სიყვარული: „ქვეყნისა და თავის ხალხის სიყვარული კი ნიშნავს ამ ხალხისათვის და მომავლისათვის საქმის კეთილად კეთებას“ — აღნიშნავდა ნიკო კეცხოველი.

ნიკო კეცხოველის პედაგოგიური მოღვაწეობა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით აღინიშნა.

უკანასკნელ წლებში ნიკო კეცხოველმა დიდი შრომა გასწია „საქართველოს წითელი წიგნის“ (1982) შესადგენად, რომლისთვისაც მას სიკვდილის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ნიკო კეცხოველი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დღეს უკვე ლეგენდადაა ქცეული. მკაცრი, ამავე დროს უაღრესად სამართლიანი და ლმობიერი, მრავალი დიდი ეროვნული საქმის წამომწყები—ასეთი იყო ეს დიდი პიროვნება და მისი მოღვაწეობა.

ნიკო კეცხოველის ნათელი ცხოვრება სამაგალითოა მომავალი თაობებისათვის.

ენდე, მაგრამ შეამოწმე

ქუთაისი. (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე). გაზეთ „ქუთაისის“ 10 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი, ქუთაისში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ლაბუტინი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქუთაისის 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური ხითარიშვილი.

დოკუმენტში, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივ ვალდებულებებს, ცენტრალური ადგილი უკავია მუხლს, სადაც მითითებულია, რომ რუსეთის ფედერაციის ნაწილები მზად არიან შეუთანხმონ ქალაქის მერიას ქუთაისში განლაგებული კოლონების გასვლის დღე, მარშრუტი და, რაც მთავარია, ხელი არ შეუშალონ ადგილობრივ ხელისუფლებას განახორციელონ რესპუბლიკიდან გასატანი ტვირთის შემოწმება.

მსგავსი დოკუმენტი პირველი არ არის, ადრეც არსებობდა შეთანხმება მხარეებს შორის, მაგრამ სამწუხაროდ, იგი არაერთხელ დაარღვიეს რუსეთის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელებმა. ბოლო შემთხვევა 7 მარტს გვიან ღამით მოხდა, რომელიც ქუთაისის მერის თეიმურაზ შაშიაშვილის დროული ჩარევა რომ არა, შეიძლება ტრაგიკულად დამთავრებულიყო.

ამჟამად ქალაქი გადაურჩა შეიარაღებულ კონფლიქტსა და მსხვერპლს. ქუთაისში იმედოვნებენ, რომ ახალი ხელშეკრულება მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი იქნება.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

11 მარტს, ღამის 8 საათზე, უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ავტომატის ჯერით დაცხრილეს გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქტორის ირაკლი გოცირიძის საცხოვრებელი ბინის ფანჯრები. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე.

როგორც საბურთალოს რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა მერაბ ბალათურიამ გვითხრა, ბინის ლოჯიის ფანჯრებზე დაფიქსირებულია ხუთი ნატყვიარი, მინები ჩამსხვრეულია. მანვე აღნიშნა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ბატონმა ირაკლი გოცირიძემ ეს თავდასხმა შეაფასა, როგორც არა შემთხვევითი, არამედ, ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. მე არ ვიცი, ვინ, რა მიზნით და რა მიზეზით დაგვესხა თავს, განაცხადა მან, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და მინდა ამის შესახებ მთელი საზოგადოებრიობისა და ხელისუფლების გასაგონად ხმამაღლა განვაცხადო, რომ ეს ფაქტიც და რამდენიმე საათით ადრე ქ. თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის ფაქტიც სტიმულირებულია ხელისუფლებაში მყოფი ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ, რომლებიც თავიანთი „მძაფრი“ მოწოდებებით აგულიანებენ უგონო მოძალადეებს, თავიანთი პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები ძალადობის გამოყენებით გამოხატონ.

ბატონმა გოცირიძემ მოიყვანა მეორე ასეთი ფაქტიც: წინა დღეს, დილის 11 საათზე გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქციაში მივიდა რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელი და, პროკურატურის განკარგულებით, წაიღო მისთვის საინტერესო ერთ-ერთი წერილი. ეს ფაქტიც ბატონმა გოცირიძემ შეაფასა, როგორც უსამართლობისა და ტენდენციურობის აღმაშფოთებელი გამოვლინება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსს რამაზ ქლენტს, რომელმაც განაცხადა: ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნდა მოქალაქეთა წერილი, რომლებიც გარკვეულ ბრალდებებს უყენებდნენ საქართველოს პარლამენტის წევრს გივი ლომინაძეს. პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა გივი ლომინაძემ მოითხოვა ამ საკითხის გარკვევა. რესპუბლიკის პროკურატურამ შეკითხვა გაუგზავნა აფხაზეთის პროკურატურას წერილში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით. ამასთან, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი კოტრიკაძე მივიდა რედაქციაში პროკურატურის მიმართვით აღნიშნული წერილის წამოსაღებად და შესასწავლად. გაზეთის რედაქტორმა გოცირიძემ პროკურორს ამ მიმართვის საფუძველზე წერილი არ მისცა. ამის შემდეგ უკვე პროკურატურის დადგენილებით კოტრიკაძე კვლავ მივიდა რედაქციაში და ყოველგვარი უსიამოვნებისა და რედაქციის თანამშრომელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მათი თანხმობით წამოიღო წერილი რედაქციიდან. არავითარ უკანონობას ამ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ნგრევა და შენების იმედი

საშენი მასალების მრეწველობა: პრობლემები, პერსპექტივა



გიმოავლეთ თვალი საქართველოს. ახლა ყველაფერი ინგრევა, ნადგურდება, იძარცვება. ჩვენი ქვეყანა პატარაა და ამის შემჩნევა ერთობ იოლია. ეს მიწისძვრაა, ეს ომებია, ეს ქართველი კაცის გულგრილობაა... გაგვიუღრანდა კოხტა სამშობლო, ლამის ჩამოგვექცეს ჭერი. ხვალ კვლავ ჩვენი აღსადგენი და ასაშენებელია ყოველივე. როგორია პერსპექტივები? გავწვდებით დამოუკიდებლად ამხელა საქმეს, თუ პურთან ერთად ცემენტისა და აგურის შემოზიდვაც მოგვიწევს უცხოეთიდან? ამ და კიდევ ბევრ სხვა პრობლემურ კითხვაზე პასუხის მიღების მცდელობაა სწორედ ჩვენი საუბარი რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო გაერთიანება „საქსაშენმასალების“ უფროსთან, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატთან ბატონ გივი მეფარიშვილთან.

ზაურ მაკარაძე.

ვნება შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.
გ. რჩეულიშვილი.

ვინ აწესებს ფასებს?

— ბატონო გივი, არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა იმპერიისა და მისი ზედნაშენის, პოლიტიკური სტრუქტურების რღვევამ მთლიანად მოშალა ეკონომიკური ბაზისი, გაძარცვა და გაფლანგა თითოეული რესპუბლიკისა და თითქმის ყოველი დარგის მატერიალური სიმდიდრეები. ალბათ, ვერ დავიჯერებ, თუ მეტყვით, რომ ჩვენი სფერო გადაურჩა ამ ქარიშხალს.

— მართლაც ძნელი დასაჯერებელია. ჩვენ ვცდილობთ, ქარხნები სამუშაო მდგომარეობაში იყვნენ, რათა არ გაიძარცვოს ისინი. ცხადია, სრული დატვირთვით ვერ ვმუშაობთ. სათბობენერგეტიკული კრიზისი, სათადარიგო ნაწილების დეფიციტი, კიდევ მრავალი სხვა სიძნელე მეტად ართულებს საქმეს. მაგრამ ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. შემოღებული გვაქვს მუშაობის გრაფიკი. გამოთავისუფლებული ხალხი ტექნოლოგიური ხაზების მოწესრიგებითაა დაკავებული. ასე ვირჯებით. ეტყობა, სხვა გზა არ არის.

გაერთიანება რესპუბლიკაში ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის დიდი მომხმარებელია. წელიწადში დაახლოებით 409 ათასი ტონა პირობითი სათბობი და 274 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გვჭირდება. ფაქტობრივად კი შარშან ამ ენერგორესურსების რაღაც 20-25 პროცენტი იყო გამოყოფილი. წარმოებებიც ძირითადად ასეთივე დატვირთვით მუშაობს. ამ ხნის მანძილზე ქარხნების თითქმის 80-85 პროცენტი გაჩერებული იყო. საწარმოების ტექნოლოგიური ხაზები რეჟიმის ცვლილებებს ვერ ეგუებიან, რაც გამოშვებული პროდუქციის ხარისხზეც უარყოფითად მოქმედებს და მანქანა-დანადგარებიც მწყობრიდან გამოჰყავს.

დარგი სათადარიგო ნაწილებით ყოფილი კავშირის საწარმოებიდან მარაგდებოდა, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დაატყო მოწყობილობათა მდგომარეობას. უნდა მოგახსენოთ, რომ წელიწადში 4 მილიონი მანეთის სათადარიგო ნაწილები გვესაჭიროება. მათ შორის, უცხოური — 2 მილიონი მანეთისა. ახლა ეს საკითხი მეტ-ნაკლებად გადაწყდა. რიგ დეტალებს დაგვიმზადებენ თბილისის საავიაციო, ქუთაისის საავტომობილო და სხვა მექანიკური ქარხნები, რომლებიც ისედაც ნაკლები დატვირთვით მუშაობენ. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის მართვის გარდაქმნის პროცესებმა სრული სიცხადით წარმოაჩინა ყველა ის ნაკლი, დარგის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე რომ გროვდებოდა. საშენ მასალათა მრეწველობა ხომ ტრადიციულად განიხილება, როგორც მშენებლობის დარგის დანამატი — მისი მომსახური ქვედარგი. წლების განმავლობაში ჩვენი სფეროსადმი ასეთმა მიდგომამ ჩამოაყალიბა ხელმძღვანელ ორგანოთა დამოკიდებულების სტერეოტიპი. ძირითადად სამშენებლო ორგანიზაციათა ინტერესებს ექვემდებარებოდა მისი საქმიანობა, უგულებელყოფილი იყო ჩვენი ინტერესები. ამავე დროს დარგის განვითარების საკითხი არ განიხილებოდა როგორც მშენებლობის განვითარების აუცილებელი პირობა.

— ბატონო გივი, ეს გლობალური პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტას დამოუკიდებლად, ალბათ, ვერ შეძლებთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თქვენი დარგი სტრატეგიულია და გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება. ამდენი სიძნელის მიუხედავად, თუ ახერხებთ მაინც პროდუქციის გამოშვებას?

— ხშირად ქარხნებს ვაჩერებთ იმის გამო, რომ პროდუქციაზე მოთხოვნილება არ არის. შარშანდელი წლის პირველი დეკემბრისათვის გაერთიანების საწარმოებში დაგროვილი იყო 30 ათასი ტონა ცემენტი, ამავე რაოდენობის ცემენტის ნახევარფაბრიკატი, ე. წ. კლინკერი, 500 ათასი კუბური მეტრი არამადნეული მასალები, 40 ათასი კვადრატული მეტრი კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილა, 1200 ცალი სანტექნიკური ნაწარმი, ლინოლეუმისა და ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ფილების დიდი რაოდენობა. ხშირად ამავე მიზეზით ნახევარი სიმძლავრით მუშაობს აგურის ქარხნები, სხვა საწარმოები.

— ეს, ალბათ, თქვენი პროდუქციის სიძვირის ბრალია.

— გაზის ფასი 19-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიისა — 22-ჯერ, სათადარიგო ნაწილებისა — 200-250-ჯერ, ბენზინისა კი თავად მოგეხსენებათ. მიუხედავად ამისა, პროდუქციის გაძვირება ჩვენი მიზანი არ არის — მომხმარებელს ვკარგავთ, ფასები ახლა თავისუფალია და ზემოჩამოთვლილი მომენტები ჩვენდა უკითხავად აწესებენ მათ.

ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ფასები მაინც ზომიერია: ტონა ცემენტის ფასი ჩვენთან 3700-4500 მანეთია, მსოფლიო ბაზარზე კი 37-45 დოლარი...

დეფიციტი და გაუსაღებელი პროდუქცია

— ბატონო გივი, საშენი მასალების დეფიციტია, გავყვირით. თქვენ კი, აგერ, საწარმოები გაგიჩერდათ იმის გამო, რომ პროდუქცია ვერ გაგისაღებიათ. რა ამბავია? ნუთუ ასეც შეიძლება მოხდეს?

— რადგან ხდება, ეტყობა, შეიძლება. მომხმარებელთა დიდი ნაწილი გადახდის უუნაროა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ქვეყანაში დამკვიდრებული სისტემა დარგის საწარმოებს იძულებულს ხდის პროდუქცია სწორედ, ასეთ მომხმარებლებს მიაწოდონ. ამან ჩვენი საწარმოების უმრავლესობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდო. ახლა კიდევ ტრანსპორტის საკითხი: მის გაუმართავ მუშაობას ტვირთის გადაზიდვის ფანტასტიკურად მაღალი ტარიფებიც დაემატა. აჰა, ნახეთ: ეს მაჩვენებელი რკინიგზის ტრანსპორტზე 120-ჯერ გაიზარდა. ნორმალურია ეს?

— ნუ დავმალავთ, ბატონო გივი. საშენი მასალების საკმაოდ დიდი რაოდენობა უცხოეთში გაზიდეს ჩვენმა „ბიზნესმენებმა“ და, ალბათ, ტრანსპორტირების ხარჯი ტრანსპორტელებმა თქვენ დაგაწერეს.

— ვინ იცის, ახლა ყველაფერი შეიძლება მოხდეს (იცინის). ისე, იყო ჩვენი პროდუქციის უცხოეთში გატანის ფაქტები.

ამჟამად რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო სტრუქტურების გვერდის ავლით რესპუბლიკის გარეთ პროდუქციის გატანას. აი, ვამბობთ, საწყობები სავსეა პროდუქციითო? სად არის გამოსავალი? სამშენებლო ორგანიზაციებმა და ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა იზრუნონ მზა პროდუქციის მიღებისა და ტრანსპორტირებისათვის. თუ აღნიშნული საკითხი დადებითად არ გადაწყდა, მაშინ გაერთიანებას უნდა მიეცეს სათანადო ლიცენზიები ცემენტისა და მოსაპირკეთებელი მასალების საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ.

— მერე იყიდიან თქვენს ნაწარმს?

— იყიდიან! ირანსა და საბერძნეთში გადიოდა ადრე ცემენტი და მარმარილოს ფილები, კერამიკულ ნაკეთობებს კი, ბარე 30 ქვეყანას ვაწვდით. საჭიროა რიგიანი შეფუთვის, კლასიფიკაციისა და ტრანსპორტირების ორგანიზება, სხვანაირად არაფერი გვეშველება. თუ ამ საქმეს თავს მოვაბამთ, წელიწადში 300-500 ათასი ტონა ცემენტის ექსპორტირება შეგვეძლება. ამისათვის კი ფოთში საკმაოდ დიდი სიმძლავრის შემფუთავი კვანძი უნდა მოეწყოს. ალბათ, ასეც გაკეთდება. ჯერჯერობით, კი რაღაც 10 ათასი ტონა ცემენტის გაყიდვას თუ მოვახერხებთ.

შევარდნაძე-ანდრეოტის საუბარმა გაჭრა

— ბატონო გივი ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ „საქსაშენმასალების“ არსებული სიმძლავრეები უზრუნველყოფენ რესპუბლიკასა და ექსპორტს ამ ძვირფასი პროდუქტებით?

— გაერთიანებას დასახული აქვს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს დარგის აღმავლობას. ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალიზებულ ფირმებთან ერთად შეიქმნა ერთობლივი წარმოება „საქამერცემენტი“. 1993-95 წლებში მცხეთისა და კასპის რაიონებში ერთიანი ძალებით აშენდება 4,4 მილიონი ტონა სიმძლავრის თანამედროვე ცემენტის ქარხანა. ეს შესაბამისად ამჟამად მოქმედი ქარხნების სპეციალური ცემენტის გამოშვებაზე გადაყვანის შესაძლებლობას მოგვცემს. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი აქვთ იტალიელებსაც. სალიეთის მარმარილოსა და სადახლოს ტუფის ბაზაზე ნავარაუდევია ერთობლივი წარმოების შექმნა. მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ანდრეოტის, ეს პროცესი დაჩქარდა. მეორე დღესვე დაგვირეკეს იტალიელმა პარტნიორებმა და გვითხრეს, რომ უახლოეს დღეებში ჩამოვლენ. ამ საქმისათვის მათ, თავის მხრივ, დაახლოებით, ერთ მილიონი დოლარი გამოყვეს. ეს თანხა დაგვეხმარება მარმარილოს და ტუფის დამუშავებისა და შეფუთვის გაუმჯობესებაში.

საინტერესო პერსპექტივებია ფარავნის საბადოს პერლიტებისა და ახალციხის ქისათიბის საბადოს დიატომიტის ეფექტიანი გამოყენების საქმეში — ამ დარგში ჩვენთან, ალბათ, საბერძნეთის ფირმები ითანამშრომლებენ.

— ბატონო გივი, „საქამერცემენტის“ ქარხნამ განსაკუთრებით დამაინტერესა. ნუთუ გვაქვს ამხელა გიგანტის სამყოფი ნედლეული?

— წინასწარი გამოთვლებით, კირქვის მარაგი 149 მილიონ ტონას შეადგენს, საკმარისად არის თიხაც — 49 მილიონი ტონა. ეს კი ცემენტის პროდუქციის ძირითადი კომპონენტებია. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. საქმეს ისიც აიოლებს, რომ ქარხანა ზედ კარიერზე აშენდება.

— მერე, ეკოლოგები, „მწვანეები“ არ გებრძვიან, ჩემო ბატონო?

— კამათი იყო, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა: ეს იქნება უნიკალური, ეკოლოგიურად სუფთა ხაზი და სათბობის ხარჯს მთელი 35-37 პროცენტით შეამცირებს, გვეხმარებიან მცხეთისა და კასპის რაიონების ხელმძღვანელები. შეიმჩნევა მოსახლეობის კარგი განწყობა.

— სულ არაპროფესიონალიზმზე ვწუწუნებთ. მოეწონათ ამერიკელებს ჩვენი სპეციალისტები?

— უთუოდ, ჩვენმა ინჟინრებმა, ტექნოლოგებმა და სხვა სპეციალისტებმა მათზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამერიკელებმა აღნიშნეს კიდეც ეს.

— ბატონო გივი, მინდა აქვე ერთი მნიშვნელოვანი საკითხი—სახურავის პრობლემა წამოვჭრა. მოგეხსენებათ, „მამობილი“ აღარ გვწყალობს, თუნუქი გაძვირდა, უსახურავოდ სახლებში ხომ ვერ ვიცხოვრებთ?

— გეთანხმებით, სერიოზული პრობლემაა. შიფერს დღესდღეობით ერთადერთი კასპის ქარხანა უშვებს, ისიც დღე-ღამეში რაღაც 2500 ცალს. უკეთეს შემთხვევაში ამ ციფრის გაორმაგება შეგვიძლია. ვფიქრობ, ტრადიციული კრამიტის ათვისება მოგვიწევს. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკულ ფირმებთან ამ პროდუქციის ინდუსტრიული წესით მიღებისათვის საჭირო მოწყობილობათა შემოსატანად, სამომავლოდ გადაწყვეტილი გვაქვს რბილი ფირადი, ე. წ. რულონური სახურავის წარმოება.

მეცნიერების მხარეზე

— ბატონო გივი, მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნის ინდუსტრია აქტიურად იყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. ამ მხრივ ყოფილი საბჭოთა კავშირი და,ბუნებრივია, საქართველო მთელი საუკუნით ჩამორჩა. თქვენ , თავად მეცნიერი, დარწმუნებული ვარ, მეცნიერების მხარეზე ხართ და აქტიურად დანერგავთ მის მიღწევებს. ისე, კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც არის.

— რასაკვირველია. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ დარგის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებაზე. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს საკითხი ცოტა სხვანაირ მიდგომას მოითხოვს. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა უნდა შედგეს იმ აუცილებელი სამუშაოების გათვალისწინებით, რომლებიც აქტუალურია მოცემულ ეტაპზე დარგის საწარმოების ნორმალური მუშაობისათვის.

— რას გულისხმობთ?

— მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკა არ ჰგავს საგეგმოს. მერეც, დღევანდელობის ერთ-ერთი დიდი პრობლემა შემოტანილი ნედლეულის ადგილობრივით შეცვლაა. ეს პოლიტიკა დარგში ტარდებოდა და ახლაც ტარდება. ამის მაგალითია ადგილობრივი ქანების გამოყენება რესპუბლიკის საშენი მასალების მრეწველობაში. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი პერლიტების, ბაზალტების, ანდეზიტების, დიატომიტის, რიოლიტის და სხვათა შემცველი ტექნოლოგიების დანერგვამ უკვე მოგვცა საგრძნობი ეფექტი. სამეცნიერო-ტექნიკურმა მიღწევებმა პრაქტიკული განხორციელება უნდა პოვონ წარმოებაში. ამისათვის კი გაერთიანებამ სათანადო დახმარება უნდა აღმოუჩინოს ინსტიტუტს. უნდა გაძლიერდეს მისი სტრუქტურები, შეიქმნას მძლავრი ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილება, უფრო ინტენსიური გახდეს საცდელი ქარხნის მუშაობა, რომელსაც, გააჩნია სათანადო შენობა-ნაგებობანი და მექანიკური ბაზა. ინსტიტუტის მიერ დამუშავებული თემა უნდა იყოს სრულყოფილი, გამოცდილი, დანერგვისათვის გამზადებული. მეტი ზრუნვაა საჭირო საცდელი ბაზის გაძლიერებისათვის — მძლავრი საწარმოო-საგამოცდო ბაზის შესაქმნელად. ეს საქმე ადრე იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მისი განხორციელებისათვის დღეს ცოტა კითდება...

ასე, ბატონებო! დარგის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია (ლინოლეუმი, შპალერი) რიგ შემთხვევებში არ ჩამოუვარდება მსოფლიო სტანდარტებს, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი აგურის, კერამიკული ფილების, სანტექნიკური და სხვა ნაწარმის ხარისხის ამაღლებლად. „საქსაშენმასალების“ უფროსის აზრით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს ინსტიტუტთან საგამოცდო ცენტრის შექმნა ეროვნული სერთიფიკაციის სისტემაში ჩასართველად. აქ უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

პრივატიზაცია ზომიერად

— დარგის საწარმოების პრივატიზაციაზე თუ ფიქრობთ, ბატონო გივი?

— პრივატიზაცია, იცოცხლეთ, ცუდი არ არის, მაგრამ ამ რთულ სიტუაციაში საჭიროა კადრების შენარჩუნება, მძიმე კონკურენციის პირობებში საწარმოო სიმძლავრეების ნგრევისა და გაპარტახების თავიდან აცილება. ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. ისე, მიზანშეწონილად მიმაჩნია წვრილი საწარმოების პრივატიზაცია, საშუალო და დიდ ქარხნებში კი სააქციო საზოგადოებები უნდა ჩამოყალიბდეს, სადაც აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი (კერძოზე მეტი) სახელმწიფოს ხელში დარჩება.

— ხვალ ან ზეგ თქვენი დარგის ალტერნატიული კონკურენტუნარიანი კერძო საწარმოები რომ შეიქმნას, რას იტყვით?

— მივესალმები, მაგრამ რომ არ იქმნება? — საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს წვრილ-წვრილი ქვის დამმუშავებელი სამქროები, კარიერები, სამსხვრევ-დამახარისხებელი კვანძები, მაგრამ რად გინდა? წიაღისეული ყოველგვარი წესების, ნორმების, ტექნოლოგიის უხეში დარღვევით მუშავდება, რის გამოც დიდია დანაკარგები. ნარჩენებით დანაგვიანებულია ამ საწარმოთა მიმდებარე ტერიტორიები. თუმცა ბუნების დაცვა და ეკოლოგია ცალკე საუბრის თემაა.

— ბატონო გივი, მოდით, აქ დავსვათ წერტილი. ნათქვამია, ხვალემ იფიქროს ხვალისაო, მაგრამ თქვენთან საუბრის შემდეგ ცოტა იმედი მაინც მომეცა. ესე იგი, თქვენი გაერთიანება არ მოაკლებს დანგრეულ ქვეყანას საშენ მასალებს, ასე არ არის?

— უთუოდ. ჩვენ შეგვწევს ამის ძალა... და ეს ლიტონი სიტყვები არ არის.

* * *

საშენი მასალები! ეკოლოგიას თავისი გაჭირვება აქვს, პრივატიზაციას — თავისი, დეცენტრალიზაციას — თავისი, ქვეყანას — თავისი, ამერიკელებს — თავისი, „საქსაშენმასალებს“ კიდევ — თავისი.

სანამ პირველყოფილი ადამიანებივით გამოქვაბულებში ჯოგებად ცხოვრება არ „გადაგვიწყვეტია“, დაგვჭირდება ინდივიდუალური სახლი, ბინა, სახტუმრო... რესტორანი.. დღეს კი რამდენი უბინაოა, რამდენი ლტოლვილია, რამდენი რამეა ასაშენებელი.

ადამიანები ადამიანურ ცხოვრებაზე უარს არასდროს ამბობენ, მაგრამ ადამიანებს რატომღაც ხშირად ეზარებათ ხოლმე ზრუნვა ადამიანური ცხოვრების შესაქმნელად!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამუშაო შეხვედრა ბრიუსელში

ევროპის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობა, ვითარება რუსეთში და იუგოსლავიის კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს ორშაბათს ბრიუსელში გამართულ „ევროპის სამეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დანია, დიდი ბრიტანეთი და ბელგია, აგრეთვე „ვიშეგრადის ჯგუფის“ ქვეყნები, სადაც შედიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი.

იგი მოეწყო ევროპის გაერთიანებისა და „ვიშეგრადის ჯგუფის“ პოლიტიკური დიალოგის გაფართოების ფარგლებში „თორმეტეულის“ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომ ამ დიალოგს რეგულარული ხასიათი მიენიჭოს.

მაო ძედუნის დაბადების 100 წლისთავისათვის

ჩინელი კინემატოგრაფისტები აპირებენ გამოუშვან მხატვრული კინოსურათებისა და სატელევიზიო ფილმების სერია მაო ძედუნის დაბადების 100 წლისათვის, წელს რომ სრულდება, როგორც გაზეთი „ჟუნგო ქიბაო“ იუწყება, ისინი კინოთეატრებისა და ტელევიზორების ეკრანებზე გამოვა 26 დეკემბრამდე.

კინო — და ტელეფილმებში ნაჩვენები იქნება მაო ძედუნის საქმიანობა სხვადასხვა წლებში, მისი შეხვედრები ამერიკელ ჟურნალისტთან ედგარ სნოუსთან 1936 წელს, ჩინეთის ხელმძღვანელის ცხოვრება დიდ ლაშქრობამდე და მის დროს (1934-1935 წლები). ერთ-ერთი ფილმი მიეძღვნება მაო ძედუნს „კულტურული რევოლუციის“ წლებში (1966-1976 წლები), რომელსაც ჩინეთში ოფიციალურად ეწოდება ქაოსისა და დიქტატურის პერიოდი.

საბჭოს სხდომა

მოსკოვში „პრეზიდენტ-ოტელში“ ბორის ელცინის თავმჯდომარეობით გუშინ გაიმართა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების მეთაურთა საბჭოს სხდომა.

მონაწილეებმა უნდა განიხილონ ფედერაციული ხელშეკრულების რეალიზაციის მექანიზმი. მაგრამ, სხდომის მთავარი თემა იყო მომზადება რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა მერვე ყრილობისათვის.

საბჭოს სხდომის გახსნისას ბორის ელცინმა მიულოცა რუსლან აუშევს, ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა. რუსლან აუშევმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ინგუშეთს სურს უახლოეს თვეში ხელი მოაწეროს ფედერაციულ ხელშეკრულებას, როგორც ბორის ელცინმა განაცხადა, ამ ფაქტს „პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება განსაკუთრებით ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში“.

რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების მეთაურთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარე ვალერი ზორკინი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რიაბოვი. ვიცე-პრემიერი სერგეი შახრაი.

იყენებენ მცირეწლოვანთა შრომას

ხელით მქსოველი შალის ხალიჩები ინდოეთის ექსპორტის ერთ-ერთი შემოსავლო მუხლია, მაგრამ საზღვარგარეთელ მყიდველთაგან ცოტა ვინმე თუ ხვდება, რომ ყოველი ათი ხალიჩიდან რვა მცირეწლოვანთა ნახელავია.

ინდოეთის კონსტიტუცია კრძალავს ბავშვთა შრომას, უზრუნველყოფს თავისი ნორჩი მოქალაქეების სავალდებულო განათლებას. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ბევრი ბავშვი სასკოლო კლასების ნაცვლად მაინე და მძიმე წარმოებათა საამქროებში, ხალიჩების დამამზადებელ ფაბრიკებში, ქვის სამტეხლოებში, ალმასის დასამუშავებელ სახელოსნოებში, აგრეთვე შეძლებულ ადამიანთა სახლებში მოსამსახურედ ხვდებიან.

როგორც ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები ადასტურებენ, ბავშვები კი ხშირად მონების მდგომარეობაში არიან, მუშაობენ დღეში 17-18 საათს, მხოლოდ კვებისათვის, მათ სჯიან, განიცდიან სექსუალურ ძალმომრეობას, ნორჩი მუშები აბსოლუტურად უუფლებონი არიან, რადგან მეტწილად ისინი ობლებია, ანდა მშობლებს ჰყავთ გაყიდული ვალების გადასახდელად. როგორც პრესიდან ჩანს, ასეთი პრაქტიკა ფრიად გავრცელებულია ინდოეთის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელმაც ამას წინათ საკუთარი გამოკვლევა განახორციელა, დაადგინა, რომ ინდოეთში „მონის მდგომარეობაშია“ 15 მილიონამდე მოქალაქე, და მათი მესამედი ბავშვებია.

იძულებითი შრომა, მათ შორის — ბავშვების, მარტო ინდოეთში როდია გავრცელებული. როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები ამტკიცებენ, ეს პრობლემა აქტუალურია აგრეთვე პაკისტანის, ტაილანდის, სუდანის, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის მთელი რიგი, ქვეყნებისათვის.

ამერიკის კომისიაში

მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მინსკის ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრების მეოხებით ჯერჯერობით არ არის მიღწეული შეთანხმება ცეცხლის სრული შეწყვეტის შესახებ, ეს განცხადება გააკეთა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შეერთებული შტატების კონგრესის კომისიის სხდომაზე მთიანი ყარაბაღის შესახებ მოლაპარაკებაზე წარგზავნილმა შეერთებული შტატების სპეციალურმა წარმომადგენელმა ელჩმა ჯონ მარესკამ.

ამასთანავე შეერთებული შტატების წარმომადგენელმა „პოზიტიური“ უწოდა მთიანი ყარაბაღის შესახებ რომის წინასწარი მოლაპარაკების შედეგებს და აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხდომა სრული შემადგენლობით მიიღებს განსახილველად მინსკის რეკომენდაციებს. ამავე დროს მან თქვა, რომ არ სურს „მეტისმეტად ოპტიმისტი იყოს“, რადგან „რეგიონი სავსეა იარაღის არსენალებით, და ორივე მხარის მოსახლეობა მეტად აგრესიულად არის განწყობილი“. მისი აზრით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს სერიოზული და სამომავლოდ რთული შედეგების მოტანა შეუძლია. რუსეთს იგი ემუქრება არასტაბილურობით მის სამხრეთ საზღვრებზე. რეგიონს საერთოდ ესკალაციისა და კონფლიქტის გავრცელების მეტად სერიოზული რისკის საფრთხე აქვს. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისათვის იგი „დიდი გამოწვევაა“, რადგან ამ ორგანიზაციამ ვერ შეძლო გაეკონტროლებინა ერთი ასეთი კონფლიქტი მაინც.

სარედაქციო ფოსტიდან

რომ ჰკითხოთ, მათი საფიცარი საქართველოა!

8 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა თემურ მირიანაშვილის სტატია „წუმპიდან წუმპეში" გაზეთ „იბერია-სპექტრის" რედაქტორის ი. გოცირიძის და მისი საქმიანობის შესახებ. პუბლიკაციას „იბერია-სპექტრის" მხრიდან სასწრაფოდ მოჰყვა რეაგირება — 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ი. გოცირიძის და მის თანამშრომელთა საკმაოდ ვრცელი მიმართვის ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისადმი და ი. გოცირიძის მხარდამჭერი მთელი ციკლი „მკითხველთა წერილებისა".

უეჭველია ამან საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია.

გთავაზობთ ჩვენი რამდენიმე მკითხველის აზრს ზემოაღნიშნული პუბლიკაციების შესახებ.

ამას არც ერთი სხვა რედაქცია არ იკადრებდა!

„იბერია-სპექტრის" რედაქტორის გულმოდგინე დამცველები მეტისმეტად აუღელვებია „ერის ღირსეული შვილისა და პატიოსანი ადამიანის" განქიქებას. თუმცაღა, ვერც ერთ პუბლიკაციაში ვერსად პოვებთ თუნდაც ერთ კონტრარგუმენტს, ი. გოცირიძისადმი წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას რომ ადასტურებდეს. სამაგიეროდ, წყევლაკრულვიან შესიტყვებათა სიმრავლეა საგანგებო აღნიშვნის ღირსი. აი, როგორ „ასაბუთებს" ი. გოცირიძის უმწიკვლობას ნაძალადევის რაიონის მოსახლეობა, როცა მის ოპონენტს მიმართავენ ასე: „ნუთუ არ დაგეწრიტათ ძარღვებში ის ბინძური სისხლი, რომელიც თქვენ გაცოცხლებთ. ნუთუ არ გაგიშრათ პირში ნერწყვი და არ დაგიდუნდათ ეგ ენა, რაც ჩვენ ასე მწარედ გამეტყველებთ?" ჩვენის ფიქრით, ეს „მჭევრმეტყველება" რომელიმე ორღობის დედაკაცს უფრო დაამშვენებდა, ვიდრე იმ ხალხს, ვინც მთელი ქართველი ერის (აღარას ვამბობთ ნაძალადევის მთელ მოსახლეობაზე) სახელით გამოდის. არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი რედაქცია ამგვარი რამის დაბეჭდვას არ იკადრებს.

ლია ჩარგაზია.

◆

„რკინისებური ლოგიკა"

გაზეთი „ქართველი ერიც" ჩვეულ გზას არ ღალატობს და, ვინაიდან უკეთესი პასუხი ვერ მოუძებნია, მუშტმოღერებული იმუქრება: „სჯობს დააყენოთ ენა, სანამ ღვთის რისხვა არ დაგტეხიათ თავს და ერის რისხვას გადარჩენილხართ (ცოტათი მაინც)... თქვენ პასუხს აგებთ და განაჩენის გამომტანნი თვით ჩვენ, ქართველი ხალხი ვიქნებით". ეს ხალხი, საკუთარ თავს ქართველ ერთან რომ აიგივებს, შემდეგ რიტორიკული შეკითხვებით მოგვმართავს: „განა არ გვეყო მამულიშვილების მტრისაგან სისხლის ღვრა... ერის შუაზე გახლეჩა, ძმა ძმისგან სისხლით დალილი". ერთი სიტყვით, გამსახურდიას ცოდვებს რატომღაც ჩვენ მოგვკითხავს!

კი, მაგრამ, თქვენ არ იყავით, ბატონო, წეღან რომ იმუქრებოდით: თ. მირიანაშვილო, ჩვენ გამოგიტანთ განაჩენსო?! რაღატომ გიკვირთ ძმისაგან ძმის სისხლის დაღვრა? თუმცა ისიც უნდა იკითხოს კაცმა, ვინ არის თქვენთვის ძმა? თურქი, ლეკი, ოსი, სპარსი, ჩეჩენი თუ ქართველი? თუ თქვენთან მიმართებაში უფრო კონკრეტული ტერმინები უნდა ავიღოთ — „ზვიადისტები" და არაზვიადისტები. ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ თ. მირიანაშვილის სისხლის დაღვრა თქვენ სულაც არ გაგეჭირდებათ: ის ხომ თქვენი ძმა არ არის, ის თქვენი მტერია! თუმცა მტერთანაც შეიძლება კამათი, ხოლო პირზე დუჟი მაშინ ადგება კაცს, როცა არგუმენტები არ გააჩნია.

ჩანს, არც ისე უსუსური იყო „ცილისწამება", როგორც ეს ბატონ ჩხიკვიშვილს მოეჩვენა და არც ისე ალოგიკური, როგორც ბატონ ჭანტურიძეს მიაჩნია. ხოლო თუ როგორი „ლოგიკით" გამოირჩევა „იბერია-სპექტრის" საპასუხო პუბლიკაციების ზოგიერთი ადგილი, თავად განსაჯეთ: თურმე ი. გოცირიძეს ყველა ისედაც კარგად იცნობს და მისი რაც უფრო ცუდი მხარეები გამომზეურდება, მით უფრო ამაღლდება ერის თვალში...

ამაზე მეტი სიბრიყვე და დემაგოგია შეიძლება?

განა ეს არის პასუხი?

გოცირიძე რომ „იბერია-სპექტრის" მთავარი რედაქტორი არ იყოს, ალბათ მის საქმეებს სულ სხვა კუთხით განიხილავდა ჩხიკვიშვილი და ამ გულისამაჩუყებელ პასაჟებს არ მოიხმობდა ი. გოცირიძის შესამკობად.

„ეროვნული" ლოგიკის ნამდვილი საგანძური კი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სასარჩელო განცხადება უნდა იყოს. ი. გოცირიძის დამცველებს ყველაზე „მყარ" არგუმენტად მიაჩნიათ ის, რომ მათი რედაქტორის განმკითხავი ე. შევარდნაძის თანაშემწეა. კი, მაგრამ შევარდნაძის გარემოცვაში მყოფი ხალხი ადამიანები არ არიან, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი მოსაზრებები და არა აქვთ უფლება თავიანთი შეხედულებები გაგვაცნონ? თუ ოდენ „იბერია-სპექტრს" შეუძლია თავისუფალ ადამიანთა მაღალი გადასახედიდან იმსჯელოს და აზრი გამოთქვას, ხოლო ყველა სხვა ბეჭდური ორგანოს, მით უფრო „საქართველოს რესპუბლიკის" დამოუკიდებლობა მხოლოდ ფარსი და დემაგოგიაა...

ამ „რკინისებური ლოგიკის" მქონეთ, რასაკვირველია, ვერაფერს შეასმენს კაცი... მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: ჩანს, მართალმა სიტყვამ თავისი ჰქნა და წუმპის მკვიდრნი კარგა გვარიანად ააფორიაქა.

მანანა იაშვილი.

◆

რამ გააწიწმატა „იბერია-სპექტრელები"?

ირაკლი გოცირიძემ თემურ მირიანაშვილის პუბლიკაციას „პასკვილი" უწოდა. სიტყვა „პასკვილი" ცილისმწამებლურ თხზულებას ჰქვია, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკის" ზემოთ მოყვანილ პუბლიკაციაში, ავტორს უამრავი ციტატა მოაქვს გოცირიძის ადრინდელი შემოქმედებიდან და დაინტერესებულ მკითხველს ზუსტად მიუთითებს ამა თუ იმ წერილის გამოქვეყნების თარიღს.

ბატონი ნოდარ ჭალაღონია აღნიშნავს, რომ ირაკლი გოცირიძეს 20 წელი დასჭირდა „შეხედულებების გადაფასებისთვის (?!). მიხეილ მჭედლიშვილს კი საკმაოდ „ზუსტად" გამოუთვლია ახლანდელ ხელისუფლებაში ყოფილი პარტიული ფუნქციონერების პროცენტული რაოდენობა, თუმცა „ავიწყდება", რომ გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებში მრავლად იყვნენ და არიან კომპარტიის ყოფილი წევრები, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმის დროს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ, მაგალითისთვის ელიზბარ ჯაველიძისა და ვახტანგ ბოჭორიშვილის დასახელებაც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ თვით ირაკლი გოცირიძეზე.

ყოფილი ხელისუფლების მომხრეები ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში გარკვეულ ცალმხრივობას იჩენენ. თავის მომხრეებს, და უპირველესად თვით პრეზიდენტყოფილს, ისინი ყველაფერს პატიობენ: ტელევიზიით სამარცხვინო საჯარო მონანიებას, პოზიციის წამდაუწუმ ცვლას, საქართველოს მოსისხლე მტერთან ალიანსს და სხვა მრავალ ცოდვას. პოლიტიკურ ოპონენტებს კი მეტად მკაცრად მოკითხავენ. ამ დროს სწორედ ის ადამიანები აქტიურობდნენ, რომლებსაც თავის დროზე ბევრი წყალობა აქვთ მიღებული მედროვეობისათვის. ბატონ თემურ მირიანაშვილს ეს სტატია სწორედ იმან დააწერინა, რომ გაზეთმა „იბერია-სპექტრმა" თავის პუბლიკაციებში დაიწყო ადამიანების წარსულში ქექვა. ექსპრეზიდენტის მომხრეების გაწიწმატება სწორედ იმან გამოიწვია, რომ მათი აგორებული ტალღა ბუმერანგივით მათვე მიუბრუნდათ.

ალექსანდრე მიქაძე.

◆

ყველა ციტატა სწორია!

„იბერია-სპექტრის" და „საქართველოს სამრეკლოს" მკითხველები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სხვას არაფერს კითხულობენ, ამ ცილისმწამებლური გაზეთების გარდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათ არც „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი თემურ მირიანაშვილის სტატია („წუმპიდან წუმპეში") წაუკითხავთ და რაც ამ გაზეთებმა ჩასძახეს, ის დაიჯერეს, ბრმად და უყოყმანოდ, ამიტომ შეუტიეს ასე გააფთრებით ბატონ თ. მირიანაშვილს.

მე პენსიონერი ვარ, დრო საკმაოზე მეტი მაქვს, ჰოდა, ერთ დღეს გადავწყვიტე პირველწყაროში ანუ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მითითებულ ნომრებში წამეკითხა ირაკლი გოცირიძის სტატიები. ჩავუჯექი ბიბლიოთეკაში თ. მირიანაშვილის მიერ მითითებულ ნომრებს და ახლა ყველას გასაგონად მინდა ვთქვა: „წუმპიდან წუმპეში"-ს ავტორი არ ტყუის, მის მიერ მოყვანილი ყველა ციტატა სწორია და ირაკლი გოცირიძის ჟურნალისტური შემოქმედებაც სრულიად სამართლიანად არის შეფასებული.

წარმომიდგენია, რა ამბავს ატეხდა ი. გოცირიძე, თ. მირიანაშვილს ერთი სიტყვაც რომ გადაესხვაფერებინა იმ ციტატებში! მაგრამ ამ მთავარ ბრალდებაზე ის ხმას არ იღებს, სტატიის ლამის ცხრა მეათედს ურეაგირებოდ ტოვებს (ან რა უპასუხოს, როცა ყველაფერი მართალია!) და მხოლოდ რამდენიმე აბზაცს ეხება. თუმცა არც იქ არაფერი აქვს შესადავებელი.

ასე რომ, „იბერია-სპექტრის" მკითხველებს ვთხოვ, ჩემს მაგალითს მიბაძონ და გაარკვიონ, ვინ იყო და არის მათი სულიერი მოძღვარი.

ნუნუ რამიშვილი.

◆

ქვეყანა რომ იქცევა, ის გიხარიათ, ბატონებო?

ბატონმა თ. მირიანაშვილმა ზედმიწევნით სწორად დაახასიათა „იბერია-სპექტრი" და მისი რედაქტორი. მართლაც ბოღმისა და შხამის ნიაღვარი მოედინება ამ გაზეთის ფურცლებიდან. თუკი რამე ცუდი ხდება საქართველოში, ეს ფრთებს ასხამს „იბერია-სპექტრს", საქართველოს ყოველი წარმატება კი გულს უხეთქავს, რადგან ედუარდ შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული. აი, თუნდაც ბოლო, 89-ე ნომერში ზ. ლიპარტელიანი წერს, რომ „ცივილიზებულმა მსოფლიომ უარი თქვა დანაშაულებრივ რეჟიმთან (საქართველოს ხელისუფლებასთან! — რედ.) თანამშრომლობაზე". კიდევ კარგი, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, მაგრამ, ვთქვათ, მართლაც რომ იყოს, რა ახარებთ ლიპარტელიანსა და გოცირიძეს? — რომ ჰუმანურ დახმარებას არ მოგვაწვდიან? რომ შიმშილით ამოგვწყდებით? რომ მორალურად მხარს არავინ დაგვიჭერს ჩვენს სამართლიან ომში იმპერიის წინააღმდეგ და სისხლისგან დავიცლებით?

ამავე გვერდზე დიდი სიყვარულით არის შემკული „ბ-ნი ქობალია", იქვეა მისი მხატვრული ფოტო-პორტრეტიც, სახე იმ კაცისა, რომელმაც ტყვეობაში მყოფ ქართველ ბიჭებს აფხაზების თვალწინ აგინა, ლანძღა, სიკვდილით დაემუქრა, თუ აფხაზებს შეებრძოლებითო...

ამავე ნომერში გამოჩენილ ქართველ მწერალს — „ჩემი მეგობარი ნოდარი"-ს, „მუსიკა ქარში" და სხვა ქართული პროზის ჭეშმარიტი მარგალიტების ავტორს რეზო ჭეიშვილს მოგვერდს უდებს მწერალი ბეჟან ხარდაველიძე (სამწუხაროდ, მისი შემოქმედებიდან ვერაფერს ვიხსენებ) და გვაშინებს — მწერალთა კავშირს დავტოვებო...

აფერუმ, თქვენს ქართველობას, ბატონებო!

გრიგოლ გოკუჩავა.

◆

ტერორის დამწყებნი ხშირად ტერორის მსხვერპლნი ხდებიან

უპირველეს ყოვლისა გვინდა მადლობა მოვახსენოთ ბატონ თემურ მირიანაშვილს, აგრეთვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას, იმისათვის, რომ მთელს საქართველოს დაანახეს ვითომცდა ანტიკომუნისტის, ვითომცდა დემოკრატიისათვის მებრძოლის ირაკლი გოცირიძის ჭეშმარიტი სახე. ამ ადამიანს მთელი სიცოცხლე კომუნისტების სამსახურში გაუტარებია, მათი ყველაზე ბინძური დავალებები შეუსრულებია, პოლიტიკური „დანოსები" უწერია იმ დროს, როცა თითოეული მათგანი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა ადამიანს...

დღეს გოცირიძე არც კი ინანიებს, არც კი იბოდიშებს. პირიქით — თ. მირიანაშვილის ბრალდებებზე ამბობს, მეღიმება და მეცინებაო. მართლაცდა შეუძლებელია კაცის უფრო მეტად დაცემა. მაგრამ იმათ მაინც რაღა ემართებათ, ვინც ისევ გოცირიძის დაცვას და გამართლებას ცდილობს!

მართლაცდა სად არის ლოგიკა: თვითონ სხვას თავს ესხმიან „კომუნისტური წარსულის" გამო, მაგრამ როცა მათ სამარცხვინო წარსულს შეახსენებს ვინმე, თავს იკატუნებენ — მერე რა, ადრე სხვანაირი დრო იყო და ჩვენ ყველაფერი გვეპატიებაო.

აღმაშფოთა „იბერია-სპექტრის" ერთ-ერთ პუბლიკაციაში გამოთქმულმა სრულიად შეუფარავმა მუქარამ ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. გოცირიძემ და მისმა „მკითხველებმა" ნამდვილად ჩამოიგლიჯეს ნიღაბი, ისინი უკვე აშკარად ქადაგებენ ტერორს. ახლა გასაგებია, რატომ იცავს ეს გაზეთი ქუჩებში დივერსიული აქტების მომწყობებს. მაგრამ იმან, ვინც ტერორიზმს ქადაგებს, უნდა იცოდეს, რომ ტერორი არასოდეს არის ცალმხრივი. ტერორის დამწყებნი, წესისამებრ, თავადაც ტერორის მსხვერპლნი ხდებიან. იქნებ ამაზეც იფიქრონ გოცირიძემ და მისმა თანამოაზრეებმა.

დავით რეხვიაშვილი.

რედაქციისაგან: დაახლოებით ამგვარ პოზიციას გამოთქვამენ თავიანთ გამოხმაურებაში თბილისელები ე. ეგრისელი, ვანო ადამაშვილი, ლანჩხუთელი ლარისა ქიქელაძე, ზესტაფონელი შოთა ჭუმბურიძე და რედაქციაში შემოსული წერილების სხვა ავტორები.

სარედაქციო ფოსტიდან

გაზაფხულის სუნთქვა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ტერორიზმი ვერ გაიმარჯვებს

ქალაქ თბილისის მერიის განცხადება

მოხდა საშინელი დანაშაული — დაიღუპა ქ. თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე, დაიღუპა მუხანათურად ნასროლი ტყვიებით, წინასწარ განზრახული გეგმით, სადისტური, პროფესიული მკვლელის სისასტიკით მოკლეს კაცი, რომელიც მთელი არსებით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა კანონის უზენაესობას, სამართლის და სამართლიანობის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დედაქალაქში.

სრულიად აშკარაა ამგვარი დანაშაულის სერიოზულობა, სრულიად აშკარაა, რომ აქ შემთხვევითობის და კერძოობის ნატამალიც არაა, ესაა ხალხის იმ სურვილის წინააღმდეგ მიმართული მკვლელობა, რომ წესრიგი და კანონი სუფევდეს, რომ დამნაშავეები არ ატერორებდნენ მოსახლეობას, რომ შრომა და ცხოვრება უხიფათო იყოს, რომ აკისკისებული ბავშვი და გაღიმებული ქალი არ მოგვეშალოს, რომ კაცის კაცობა სიკეთით იზომებოდეს, რომ [illegible] გაეხსნას გზა, რომ დედაქალაქი [illegible] ქალაქს დაემსგავსოს. ამ მკვლელობას პოლიტიკური [illegible] აქვს — უმთავრესი საკითხი პოლიტიკისა ხომ ხალხის და ქვეყნის კეთილდღეობაა.

სრულიად აშკარაა, რომ კრიმინალური, მაფიოზური ცხოვრების წესი ვერ იგუებს ცხოვრების ნორმალიზაციას. ბატონი მიხეილ [illegible] ერთი უმთავრესი და აქტიურად მოქმედი პირი ბრძანდებოდა. იგი ამ ბრძოლას შეეწირა ვაჟკაცურად — ამიტომ უნდა განვიხილოთ ეს დანაშაული, როგორც პოლიტიკური დანაშაული. ახლა აშკარა გახდა, რომ, როცა ქალაქ თბილისში დანაშაულთან ბრძოლის განკარგულება სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა, როგორც მთავარსარდალმა, სწორედ კრიმინოგენულ ვითარებასთან, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის უმძიმეს პრობლემასთან გვაქვს საქმე და სწორედ ამიტომ არის ეს პოლიტიკური დანაშაული, დედაქალაქის პროკურორის ხელყოფა ტერორიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ტერორიზმს არასოდეს გაუმარჯნია სიმართლესთან, ტერორიზმი ცუდი პოლიტიკური იარაღია, ტერორიზმი ხალხთან დაპირისპირებაა. კრიმინალური პოლიტიკა და პოლიტიკური კრიმინალი ერთი მოვლენაა.

დამნაშავეთა სამყარომ კარგად უნდა გაიგოს, რომ დღევანდელი ვითარება და მომხდარი ფაქტი არც არავის აშინებს, პირიქით — თვით მოდუნებულ და პასიურ კაცს მოთმინების ფიალას უვსებს. მებრძოლს და პატიოსანს ძალას უათკეცებს, არავის იპატიება ომში მყოფი სამშობლოსათვის ზურგში ლახვრის ჩაცემა.

[illegible] ფაქტი უბრალო [illegible] შემთხვევა [illegible]. ეს არის სიმართლეზე [illegible] თავდასხმა, [illegible] განის შეურაცხყოფა და შეგინება, [illegible] გათელვა და საშინელი [illegible] არ გვეგულებიან ნორმალური ადამიანები, ვინც ბრძოლის ასეთ მეთოდს მხარს უჭერს, ყველა თბილისელს, თბილისის მოყვარულ საქართველოს შვილს მოგმართავთ! თუ თავი პატრიოტებად და სამშობლოს მოყვარულებად მიგვაჩნია, უნდა დავამტკიცოთ, რომ არ გვეგულება ძალა, რომელიც შეძლებს ძალადობით და ტერორის გზით დღეს ჩვენს დამონებას და გათელვას, ყველას ვერ მოკლავენ, ვერ დააშინებენ. სამართალდამცავ ორგანოთა გეგმაზომიერი და გულიანი, დაძაბული მუშაობა იმედს გვაძლევს — ამ კონკრეტულ და საერთოდ ყოველნაირ დანაშაულს საკადრისი მიეგება.

თბილისში კიდევ არიან თბილისელები, რომლებიც ვერავის მისცემენ ასეთი აღვირახსნილობის უფლებას, რომლებიც კვლავაც გააგრძელებენ ბრძოლას სიმართლისა და კანონისათვის, რომელთაც უკან დასახევი ნაბიჯიც კი არ დარჩენიათ. ერთად უნდა დავდგეთ დამნაშავეთა მოსაძებნად და საერთო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად — ჩვენი შვილების, ოჯახების, ერთმანეთის ხათრით.

ჯერ კიდევ მოიძებნება ქალაქში ძალა, რომელიც დასძლევს ამ რთულ ვითარებას და სიწყნარეს შემოიტანს ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც კვლავ დააბრუნებს [illegible] მეგობრობასა და სიყვარულს, მეზობლობასა და კეთილგანწყობას.

ქალაქ თბილისის მერია.

ჩვენ და წესრიგი

მიმდინარეობს იარაღის ჩამორთმევა

სურათებზე: ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდატურის ოპერატიული სამსახურის მუშაკები ვასიკო კობაური, დათო ბექაური და მალხაზ კახიაშვილი ქალაქის გასასვლელთან რეიდის ჩატარებისას. კომენდატურის ოპერატიული საგამომძიებლო სამსახურის მიერ ამოღებული იარაღი.

• • •

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ივანე ჯავახიშვილის მედალი — ნანა იოსელიანს

5 მარტს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა დიდოსტატი ნანა იოსელიანი. მან თავისებური ანგარიში ჩააბარა მშობლიურ სასწავლებელს, რომლის კედლებშიც ათი წელი გაატარა და ორ სპეციალობას — უცხო ენებსა და ჟურნალისტიკას დაეუფლა.

უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა როინ მეტრეველმა ნანას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, თანამშრომელთა სახელით მიულოცა გამარჯვება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ ასპარეზობაში და გადასცა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის მედალი.

დიანა ჩომახაშვილი.

მეოთხედფინალში ითამაშებენ

გამოვლინდნენ ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალისტები. გთავაზობთ საპასუხო მერვედფინალური მატჩების შედეგებს: „სამგურალი"-„სიონი" — 7:0 (პირველი მატჩი) — 1:3, „გურია"-„მარგვეთი" — 2:1 (0:2), „დილა"-„ბათუმი" —1:1(0:3), „ტორპედო"-„ცხუმი" — 5:1(1:1), „შევარდენი-1906"-„მალაროელი" — 3:1 (2:2), „საპოვნელა"-„სამტრედია" — 0:0 (1:1), „დურუჯი"-„ერწუხი" — 3:0. (გამოუცხადებლობა 3:0), „კოლხეთი-1913"-„დინამო" — 0:3 (უარი. 0:7).

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა მეოთხედფინალის კენჭისყრა. 26 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან: „საპოვნელა"-„ტორპედო", „დურუჯი"-„მარგვეთი", „სამგურალი"-„ბათუმი" და „შევარდენი-1906"-„დინამო".

ჩოგანი

სუპერთასი — „ბარსელონას"

ესპანეთის პოპულარული საფეხბურთო კლუბის — „ბარსელონას" ჯილდოების უმდიდრესი კოლექცია კიდევ ერთი საპატიო პრიზით — სუპერთასით — დამშვენდა.

კატალონის სუპერგუნდმა საპასუხო მატჩი საკუთარ „ნოუ კამპის" სტადიონზე მოუგო ბრემენის „ვერდერს" — 2:1 (პირველი შეხვედრა გერმანიაში, როგორც ცნობილია, ფრედ დასრულდა — 1:1). მასპინძელთაგან გოლები 32-ე და 48-ე წუთებზე გაიტანეს სტოიჩკოვმა და გოიკოეჩეამ. ერთი ბურთი 41-ე წუთზე პენალტით გაქვითა რუფერმა.

პირველად დამოუკიდებელი გუნდით

19 მარტს მოსკოვში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ბილიარდში. ამ ასპარეზობაზე საქართველოს ნაკრები გუნდი პირველად არის მიწვეული, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელი — მოგეხსენებათ, ახლახან მსოფლიო ბილიარდის ფედერაციამ თავის წევრად აღიარა საქართველოს ბილიარდის ფედერაცია (პრეზიდენტი — ზურაბ წერეთელი).

მომავალი მნიშვნელოვანი ტურნირისათვის ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას ისახავდა მიზნად ამ დღეებში გამართული რესპუბლიკის ჩემპიონატი, რომელშიც სახელმწიფოში შექმნილი რთული ვითარების გამო მხოლოდ თბილისელებმა შეძლეს მონაწილეობის მიღება. მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ შეჯიბრების „მასპინძლის" — მუშტაიდის პარკისა და სპონსორი ორგანიზაციების — საქართველოს სამეფო ბანკისა და ფირმა „ბიკ-კოკის" მეცენატობა.

საქართველოს ნაკრები გუნდი, აღნიშნული ტურნირის შედეგების მიხედვით, მოსკოვში ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: დავით ალექსიძე (იგი ტურნირის ჩემპიონი გახდა), ვახტანგ არჩვაძე, ლადო ასათიანი, დავით ბერსენაძე, როსტომ მაჩაიძე და გიგი კობოსნიძე.

გამოსათხოვარი

გალაქტიონ ყაჭეიშვილი

გარდაიცვალა ომის ინვალიდი, პირველი ქართული საჯარისო ფორმირებების ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი, პოდპოლკოვნიკი **გალაქტიონ არტემის ძე ყაჭეიშვილი.**

დაიბადა 1905 წელს, ჩოხატაურის რაიონში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1925-1958 წლებში, მსახურობდა არმიის რიგებში და განვლო გზა რიგითი მებრძოლიდან პოლკის მეთაურამდე, ხოლო არმიული სამსახურის ბოლო წლებში (1945 წლიდან) ხელმძღვანელობდა საქართველოს რეგიონების სამხედრო კომისარიატებს, იყო ქუთაისის ოლქის სამხედრო კომისარი.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება ისტორიკოსის სპეციალობით და შემდგომში ძირითადად მოღვაწეობდა საზოგადოება „ცოდნის" ხაზით.

გ. ყაჭეიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, თანამშრომლებსა და მეგობრებში სარგებლობდა დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით. მას იცნობდნენ როგორც გულისხმიერ, მოსიყვარულე ადამიანს.

საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 68 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ შავგულიძის დამკრძალავი კომისიისაგან

კომისია იუწყება, რომ თამაზ შავგულიძის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 12 და 13 მარტს 16 საათზე, ქ. თბილისში, რაზმაძის ქ. № 55.

გამოსვენება კვირას, 14 მარტს, 14 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის შენობიდან გ. ქიქოძის (ყოფილი მახარაძის) № 3.

BANK VISA

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" 9 მარტიდან აწარმოებს საფინანსო ოპერაციებს შემდეგი კურსით:

1. რსფსრ-დან საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 3,
2. საქართველოდან რსფსრ-ში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 0,22,
3. ნაღდ მანეთში უნაღდო მანეთის გაცემა კოეფიციენტით 3,2,
4. უნაღდო მანეთში ნაღდი მანეთის გაცემა კოეფიციენტით 0,25,
5. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს უნაღდო ანგარიშსწორებით — 2550 მანეთად,
6. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის უნაღდო ანგარიშსწორებით — 2700 მანეთად,
7. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს ნაღდი ანგარიშსწორებით — 730 მანეთად,
8. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის ნაღდი ანგარიშსწორებით — 750 მანეთად.

„კაპიტალბანკი" აგრეთვე აწარმოებს კომპლექსურ ანგარიშსწორებას მოსკოვის საკორესპონდენტო და თბილისის ძირითადი ანგარიშებიდან „კაპიტალბანკის" განსხვავებული კურსებით.

ანგარიშსწორება წარმოებს მოთხოვნილებისა და წინადადების თანაფარდობისას და კურსი ყოველდღიურად იცვლება.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 62, ტელეფონი: 22-22-27, 29-47-59, ტელეფონი მოსკოვში: 924-94-82.

საქართველოს თავდაცვის ფონდისა და საქართველოს მხატვართა კავშირის ერთობლივი კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს თავდაცვის ფონდი და საქართველოს მხატვართა კავშირი აცხადებენ კონკურსს პატრიოტულ თემატიკაზე საუკეთესო პლაკატების შესაქმნელად. კონკურსის მიზანია შეიქმნას პლაკატები, რომლებიც მიეძღვნება საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას, კონკურსის დამთავრების შემდეგ მოეწყობა გამოფენა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ, როგორც პროფესიონალებს, ასევე თვითნასწავლ მხატვრებს.

ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს ზომით 90×60 სმ, დაკრული მუყაოზე და ვარგისი ტირაჟირებისათვის. პლაკატის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს დევიზი. ნამუშევარს თან უნდა ახლდეს დახურული კონვერტი დევიზით და ავტორის ვინაობით.

საკონკურსო ნაწარმოებების წარმოდგენის ვადაა 1993 წლის 20 აპრილი.

საკონკურსო მასალას იბარებს საქართველოს მხატვართა კავშირის კანცელარია, ყოველდღე 11-14 საათამდე, შაბათისა და კვირის გარდა. **მისამართი: ყაზბეგის ჩიხი № 4, სამხატვრო საწარმოო კომბინატი, III სართული.**

ჟიურის მიერ შერჩეული პლაკატები პრემირებული იქნება ფულადი პრემიებით:

ორი I პრემია, თითოეული — 50.000 მანეთი,
სამი II პრემია, თითოეული — 30.000 მანეთი,
სამი III პრემია, თითოეული — 15.000 მანეთი.

კონკურსში გამარჯვებული პლაკატები გამოქვეყნდება.

საქართველოს თავდაცვის ფონდი; საქართველოს მხატვართა კავშირი.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოჭიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 6646